



გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი - სამი შაური.  
სკლის მარჯვნივ მიიღება: თფილისში - «წერა. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში და «კვადის» რედაქციაში, თეატრის ქ., № 12. ტელეფონი № 734.  
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакция „КВАЛІ“.

შინაარსი: საუბარი სხვა-და-სხვა საგნებზე, მოსაუბრისა. - შინაური მიმოხილვა. - სხვა-და-სხვა ამბები. - კორესპონდენციები. - რუსეთის ცხოვრება. - საზღვარ-გარეთ. - ყაზალი, მოთხ. ი. ევდოშვილისა. - \* \* \* ლექსი დ. თომაშვილისა. - ზნეობრივი კითხვები, ი. გომართელისა. - წერილი ბრიუსელიდან, ლ. დ. - მცირე შენიშვნა, ან. წერეთლისა. - პროტექციონიზმი ანუ მფარველობითი სისტემა, ნ. ან. მეტელაშვილისა. - სოფლის მასწავლებელთა შესახებ, 40-ქსი. - წერილი რედაქციის მიმართ. - ქართული თეატრი. - განცხადებანი.

საუბარი სხვა-და-სხვა საგნებზე.

X.

ყოველივე ის, რაც ჩვენ ვთქვით წინა წერილებში ზოგიერთ უცხო ქვეყნების მეურნეობის შესახებ, მეტათ საინტერესო იქნებოდა, რომ ჩვენი ქვეყნის მეურნეობასთან შეგვეფარდებინა. მკითხველიც ალბათ ამას მოელოდა ჩვენგან. მაგრამ, სამწუხაროთ, ეს ჩვენ არ შეგვიძლია, რადგანაც ჩვენ ჯერ არა გვაქვს ამნაირი სტატისტიკა. მართალია, ბ. ჯორჯაძე „ცნობის ფურცლიდან“ ვაიძახის, „რომ საქართველოში პატარა (წვრილ) სოფლის მე-საკუთრეთა რაოდენობა თანდათან იზრდება“ (№ 1537), მაგრამ ეს მხოლოდ ცალიერი სიტყვებია, სრულებით დაუსაბუთებელი. ბ-ნ ჯორჯაძეს ამის დასამტკიცებლათ სრულებით საკმარისათ მიაჩნია ის გარემოება, რომ თფილისის გუბერნიის «გლეხობას დღიდან რეფორმისა (ე. ი. 1864 წლიდან) 1899 წ. 1 იანვრამდე შეუძენია 3,466 კომლს 15,084 დესეტინა მიწა, და ქუთაისის გუბერნიის შვიდ მაზრაში (ქუთაისის, შორაპნის, რაჭის, ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის და ლეჩხუმისაში) იმავე ხნის განმავლობაში 32,844 კომლ გლეხს შეუყიდა 135,908 დესეტინა «სანადგლო» მიწა». ეს არის ერთ-ერთი საბუთი, რომელიც ბ. ჯორჯაძეს მოყავს იმის დასამტკიცებლათ, რომ ჩვენში წვრილ მესაკუთრეთა რიცხვი იზრდება. მაგრამ ავტორი ივიწყებს აქ შემდეგ გარემოებათ: 1, იმას, რომ გარდა იმ 3,466 კომლ გლეხისა, რომლებმაც თფილისის გუბერნიაში დაიხსნეს მებატონეთაგან 15,084 დესეტინა მიწა და აგრეთვე გარდა იმ 32,844 კომლისა, რომელთაც ქუთაისის გუბერნიაში დაიხსნეს 135,908 დესეტინა მიწა, არის კიდევ გლეხკაცობის დიდძალი ნაწილი, რომელიც ჯერაც არ განთავისუფლებულა ბატონყმური დამოკიდებულებისაგან და ან თუ განთავისუფლდა სრულიად უმიწაყლოთ არის დარჩენილი; 2, იმას რომ ეს 3,466 და 32,844 კომლი ამ ორმოცი

წლის განმავლობაში უცვლელი კი არ დარჩენილა: ამ ხანში გაჩნდა ახალი თაობა და ექვი არ არის, რომ ეს რიცხვი ერთი სამათ მაინც გაიზარდა და ამის კვალობაზე უნდა დაყოფილიყო მამულიც, ან და გლეხობის ერთი ნაწილი სრულებით უმიწა-ადგილოთ უნდა დარჩენილიყო; 3, სხვილ მესაკუთრეთა მდგომარეობას; მართალია, იმათი რიცხვი ჩვენში არასოდეს დიდი არ ყოფილა, მაგრამ სანამ ჩვენი მიწათმფლობელობის შესახებ რაიმე დასკვნას დავადგებოდეთ, საჭიროა ვიცოდეთ, იმატა თუ იკლო ამ უკანასკნელი 30-40 წლების განმავლობაში იმ მიწა-ადგილის საერთო რაოდენობამ, რომელიც სხვილ მესაკუთრეთა ხელშია. 4, დასასრულ, ბ-ნი ჯორჯაძე ივიწყებს და სრულებით არავითარ ყურადღებას არ აქცევს იმ ძირითად ცვლილებათ ჩვენ მეურნეობაში, რომლებიც გამოწვეულ იქმნენ წარმოებაში სრულიად ახალი წესის დამკვიდრებით. უამისოთ კი ყოველგვარი მსჯელობა შესახებ იმისა, გაიზარდა თუ შემცირდა სოფლის წვრილ თუ სხვალ მესაკუთრეთა და მეურნეთა რიცხვი, სრულებით ფუჭათ მიგვაჩნია. როგორც დავინახეთ, სწორეთ ასეთია ბ. ჯორჯაძის მსჯელობა. მან წარმოთქვა ისეთი აზრები ჩვენი მეურნეობის შესახებ, რომლის დასამტკიცებლათ მას არავითარი საბუთი არ ჰქონდა ხელში. მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ ბ. ჯორჯაძე აქ საყვედურის ღირსი იმდენათვეა, რამდენათაც მთელი ადგილობრივი მწერლობა და საზოგადოება. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა დღემდის სამეურნეო ქვეყნათ ითვლება და საზოგადოების და მწერლობის ყურადღება განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაზე იყო მიქცეული და დღესაც არის, დღემდის ჩვენი ქვეყნის მეურნეობა ჩვენთვის თითქმის სრულიად უცნობია. ჩვენ არა გვაქვს ცოტათ თუ ბევრათ დაახლოვებული ცნობა ამიერ-კავკასიის სამეურნეო წარმოების რაოდენობაზე, წვრილი, შუათანა და სხვილი მიწათმფლობელობის და მეურნეობის სივრცეზე, მიწის მობილიზაცია-



ზე, სრულებით უმიწაწყლო ოჯახებზე ანუ სოფლის ბო-  
განობებზე და სოფლის ცხოვრების სხვა საჭირო კითხვებ-  
ზე. ამის მაგივრათ ჩვენ გვაქვს ურიცხვი გამოკვლევები  
და მონოგრაფიები ამა თუ იმ სამეურნეო მცენარის სარ-  
გებლობაზე და მოშენებაზე, რომლებსაც არავინ არ კი-  
თხულობს და რომლებიც ამძიმებენ მხოლოდ სწავლულ-  
სპეციალისტთა შკაფების თაროებს. გარდა ამისა ჩვენ  
ქურონილ-გაზეთებში თქვენ ხშირათ შეხვდებით მრავალ  
წერილებს მეურნეობის უაღრეს მნიშვნელობაზე და მის  
საჭიროებაზე, მეურნეთა გაჭირვებულ მდგომარეობაზე და  
იმ ზომებზე, რომლებიც ხმარებულ უნდა იქმნან იმათ  
საკეთილდღეოთ და რა ვიცი კიდევ რაზე. ერთი სიტყ-  
ვით, სასოფლო მეურნეობას ჩვენში განსაკუთრებული  
ყურადღება აქვს მიქცეული, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის  
სრულიად გამოურყვეველია. ასე წარმოიდგინეთ, თვით  
იმ დაწესებულებასაც კი, რომლის უმთავრესი დანიშნუ-  
ლება ჩვენი ქვეყნის მეურნეობის შესწავლაში მდგომარე-  
ობს, ამ საქმისათვის დღემდის არ უზრუნავს. მე ვამბობ  
კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაზე, რომელიც ამ ნა-  
ხევარი საუკუნის წინეთ იქმნა დაარსებული. მკიდრო  
კავშირის მაგივრათ სოფლის მეურნეობასთან და მის ჰირ-  
ვარამთან, ეს საზოგადოება თავიდანვე კანცელიარულ  
გზას დაადგა, ე. ი. სხვა-და-სხვა განუხორციელებელი  
პროექტების და მოხსენების შედგენას; მეორე მხრით სა-  
ზოგადოებამ გადაუხვია პირდაპირ თავის დანიშნულებას  
მით, რომ თითონ მან მოიწადინა გაუმჯობესებული მე-  
ურნეობის დამკვიდრება ჩვენში მით, რომ კერძო პირებს  
აძლევდა დიდძალ შემწეობას რაიზე სამეურნეო საქმის  
საწარმოებლათ. თუ რა შედეგი მოყვა საზოგადოების  
ასეთ მიმართულებას, ამას ჩვენ დავინახავთ ბ. ი. ხატი-  
სოვის შემდეგი სიტყვებიდან: «რა გააკეთა საზოგადოე-  
ბამ და რაზე დაიხარჯა ამოდენა ფული?—კითხულობს  
იგი.—ჩვენ არ უარყყოფთ საზოგადოების სამსახურს აბრე-  
შუმის მოყვანის გასაუმჯობესებლათ, მაგრამ უნდა გამო-  
ვტყდეთ, რომ საზოგადოება უდიდეს დროს ახმარებდა  
სხვა-და-სხვა პირთა აურაცხელი თხოვნების განხილვას  
შემწეობის აღმოჩენის შესახებ ან და სხვა-და-სხვა გამო-  
ფენებზე კავკასიის განყოფილებათა მომზადებას... საზო-  
გადოებას მოდიოდა იმოდენა თხოვნები შემწეობის აღ-  
მოჩენის შესახებ, რომ ერთ დროს საზოგადოების მიზანი  
სრულებით მივიწყებულ იქმნა. ყველა შემწეობათა ჩამო-  
თვლა ძნელი იქნება, დავასახელოთ რამდენიმე. გამოჩნ-  
და ვინმე გერმანელი, რომელმაც მოიწადინა ყარაიაში  
მერინოსის ჯიშის ცხვარის მოშენება; იმს მიეცა 20  
ათასი მანეთი. მაგრამ ამნაირ ცხვარის კვალი იქ არავის  
არ უნახავს. იყო ვინმე ფრანკუზი დიუფური, რომელიც  
რამდენსამე წელიწადს ეძებდა კავკასიაში ადგილს სააბრე-  
შუმო სკოლის გასაკეთებლათ და გაფლანგა რა 15 ათა-  
სი მანეთი სახაზინო ფული, სადაც გაქრა. იყო კიდევ  
ინგლისელი, გვარათ ვალი, რომელსაც სამიწათმოქმედო  
მაშინების საწყობი უნდოდა გაეხსნა თფილისში, რისთვი-  
საც 12 ათასი მანეთი მიიღო ხიზინიდან და შემდეგ...  
იგიც სხვებს გაყვა»<sup>1)</sup>. მაგრამ ყველას აქ ხომ ვერ ჩა-  
მოვთვლით. შემდეგ ამ სიტყვების ავტორი ურჩევდა, რომ  
თუ საზოგადოებას სურს სარგებლობის მოტანა, ის «უწი-

ნარეს ყოვლისა უნდა შეუდგეს სასოფლო მეურნეობის  
თითოეული დარგის თანამედროვე მდგომარეობის და-  
წვრილებით შესწავლას»<sup>2)</sup>. სამწუხაროთ ყველა ამგვარ-  
მა რჩევამ დღემდის ფუქათ ჩაიარა<sup>3)</sup>. თუ წინანდლათ  
სუბსიდიების ძლევას და განუხორციელებელ პროექტე-  
ბის შედგენას რამდენიმეთ უმტყუნა, ეს მხოლოთ იმი-  
ტომ, რომ აუფერმანის და კრაუზების კომისიონერობა  
ეკისრა. მაგრამ დავანებოთ ამას თავი და დავუბრუნდეთ  
ისევ ჩვენი საუბრის უმთავრეს საგანს.

თუმცა, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, ჩვენ არა  
გვაქვს სწორი ცნობები საერთოთ ჩვენი მეურნეობის შე-  
სახებ, მაგრამ სამაგიეროთ ჩვენ გვაქვს ნამდვილი ცნო-  
ბები მეურნეობის იმ ნაწარმოებთა შესახებ, რომლებიც  
ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადააქვთ. ჩვენ ვამ-  
ბობთ იმ ცნობებზე, რომლებსაც იძლევა ამიერ-კავკასიის  
რკინის გზა. რადგანაც სამეურნეო ნაწარმოებთა შორის  
ხორბლეულობას უჭირავს პირველი ალაგი, ამიტომ გან-  
ვიხილოთ იმის გადატან-გადმოტანა ამიერ-კავკასიის რკი-  
ნის გზაზე ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში.

უწინარეს ყოვლისა ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ  
ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე გადააქვთ როგორც ადგი-  
ლობრივი ხორბლეულობა, ისე რუსეთიდან შემოტანი-  
ლიც. რომ გავიგოთ დაახლოვებით როგორც ადგილობ-  
რივი, ისე რუსეთიდან შემოტანილი პურის მოძრაობა  
ჩვენ რკინის გზებზე, მივიღოთ ასეთი ანგარიში: რუსე-  
თიდან შემოტანილათ ჩავთვალოთ ყველა ის პური, რო-  
მელსაც გზავნიან ბათომი, ფოთი და ბაქო ჩვენი რკინის  
გზის შინაგან სადგურებზე და პირიქით: ადგილობრივ  
ნაწარმოებათ ჩავთვალოთ რასაც დანარჩენი სადგურები  
გზავნიან, თუმცა, მაგ., თფილისი ალბათ დიდძალ რუ-  
სეთიდან შემოტანილ პურსაც გზავნის. მაშინ ჩვენ მი-  
ვიღებთ:

ადგილობრივი ხორბლეულობა გაუგზავნიათ:

1899 წ.	3.981,4	ათასი ფ.	ანუ 69,73%	საერ.	რიც.
1898 „	4.452,0	—	—	70,44	—
1890—1899					
(საშ. რიც.)	5.153,0	—	—	71,81	—

ამნაირათ ადგილობრივი ხორბლეულობის გადატან-  
გადმოტანა ჩვენ რკინის გზაზე თანდათან მცირდება; ამა-  
ვე დროს შემოტანილი პური კი მატულობს, რასაც აშ-  
კარათ გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი:

წლები	შემოტანა ათას ფუთობით
1899	3.784,0
1898	2.730,2
1890—1899	2.403,0

ახლა განვიხილოთ, თუ რა ცვლილება მოხდა ერ-

<sup>1)</sup> И. Иоселиани. Обзоръ дѣятельности Имн Кав, об. Сельскаго хозяйства за 50 лѣтъ. 1901 г. ст. 21—2.

<sup>2)</sup> იქვე გვ. 23.  
<sup>3)</sup> კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას ამ უკანასკნელ წლებში  
ერთხელ კიდევ მიეცა საშუალება დამდგარიყო პირდაპირ თავის და-  
ნიშნულებს გზაზე; ამ ორი წლის წინეთ თფილისის საადგილ-მაშუ-  
ლო ბანკმა მას დაუნიშნა შემწეობა წლიურათ 2 ათასი მანეთი იმ მი-  
ზნით, რომ საზოგადოებას დაეარსებინა სტატისტიკური ბიურო. კიდევ  
ვაც არჩეულ იქმნენ წევრები, მაგრამ, სამწუხაროთ, ისინი შინაურმა  
ინტრიგანობამ შთანთქა და თვით სტატისტიკის შესახებ კი აღარა ის-  
მის რა!

<sup>4)</sup> როგორც ეს, ისე შემდეგი ცნობები ამოღებულა: «Крат-  
кій обзоръ Коммер. дѣятельности з. ж. д.» 1900 г.





თი მხრით იმ პურის რაოდენობაში, რომელიც მიაქვთ შინაგან სადგურებზე, და მეორე მხრით იმაში, რომელსაც ლეგულობენ ფოთი და ბათომი.

ათას ფუტებათ:

წლები	მ ი ტ ა ნ ა		"/" /"-ებათ.	
	შინაგან სადგურებზე.	ბათომში და ფოთში.	შინაგან სადგურებზე.	ბათომში და ფოთში.
1899	6.210,8	1.557,1	79,95	20,05
1898	5.417,0	1.765,0	75,42	24,58
1890—99	5.285,0	2.271,0	69,94	30,06

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ მაშინ, როცა შინაგან სადგურებზე მიტანა თანდათან იზრდება, ფოთში და ბათომში მიტანა თანდათან კლებულობს. პირველის ზრდა იშის მომასწავებელია, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე თანდათან ადგილობრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ გადააქვთ პური; ხოლო მეორეს შემცირება იმას ნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიიდან პურის გატანა სულ უფრო და უფრო კლებულობს. ეს ცვლილება ჩვენთვის უფრო თვალში საძგერი იქნება, თუ 1899 წელს შევადარებთ ამ მხრით 1886 წელთან. ამ უკანასკნელ წელს ამიერ-კავკასიის რკინის გზის ყველა სადგურებიდან გაუგზავნიათ სულ 10.733 ათასი ფუთი სხვა-და-სხვა ხორბალი, ე. ი. მეტი ვინემ 1899 წელს 5.023 ათასი ფუთი. ამ რიცხვიდან ფოთში და ბათომში გაუგზავნიათ ამიერ-კავკასიიდან გასატანათ 8.404 ათასი ფუთი ანუ 78,35% და მხოლოდ დანარჩენი, ე. ი. 2.329 ათასი ფუთი ანუ 21,65% ადგილობრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ ყოფილა დანიშნული. რომ კიდევ უფრო მართალი წარმოდგენა ვიქონიოთ ხორბლეულობის და პურის ნაწარმოებთა მოძრაობაზე ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე დღეს და 10-15 წლის წინეთ, მოვიხსენიოთ აქ ისიც, რომ იმ 10.733 ათასი ფუთი პურიდან, რომელიც 1886 წელს გაუგზავნიათ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურებს, ფოთს და ბათომს გაუგზავნიათ შინაგან სადგურებზე მხოლოდ 276 ათასი ფ. ანუ 2,57%, მაშინ როცა 1899 წელს ამ ორ სადგურს 5.709 ათასი ფუთიდან გაუგზავნია იმავე სადგურებზე 1.507 ათასი ფუთი, ანუ 26,39%. სანტერესოა აგრეთვე ვიცოდეთ, თუ რა და რა ხორბალს ლეგულობდნენ ფოთი და ბათომი ამ 10-15 წლის წინეთ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურებიდან. ფოთში და ბათომში მიუტანიათ 1886 წელს:

პური	5.765	ათასი ფუთი ანუ 68,69%
სიმინდი	1.865	— — — 22,11
ქერი	649	— — — 7,69
დანარჩენი	125	— — — 1,51

სულ 8.404 ათასი ფუთი ანუ 100,00

1899 წელს კი ფოთში და ბათომში ამიერ-კავკასიის რკინის გზით პური აღარ მიუტანიათ, თითქმის ერთი ფუთიც, ქერი მიუტანიათ სულ 9 ათასი ფუთი, აღბათ ადგილობრივ სახმარებლათ.

ყველა ამ ცნობებიდან ჩვენ ის საერთო დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ პურის მოყვანა ამიერ-კავკასიაში შედარებით კლებულობს, ე. ი. ჩვენი ქვეყანა, რომელიდანაც ამ 10-15 წლის წინეთ გაქონდათ 10 მილიონამდე სხვა-და-სხვა ხორბლეულობა და სხვა ქვეყნებს კვებავდა პურით, დღეს გარედან შემოიტანის პურში საჭიროებს. ამნაირათ რკინის სტატისტიკური ცნობები

ჩვენ საშუალებას გვაძლევენ აღვნიშნოთ ჩვენ მეურნეობაში ეს მეტათ სანტერესო მოვლენა. თუ რას მოასწავებს ეს მოვლენა, ნიშნავს იგი ჩვენი მეურნეობის დაცემას თუ მის ახალ გზაზე დადგომას, ამას ჩვენ შემდეგ განვიხილავთ.

მოსაუბრე.

### შინაური მიმოხილვა.

იშვიათათ შეგვხვდება ჩვენი ქალაქის ცხოვრებიდან რამე სასიამოვნო მოვლენის აღნიშვნა და მით უკურო სიამოვნებით ვაჩერებთ მკითხველის ყურადღებას ახალ მეტათ სიმპატიურ დაწყებულებაზე. თითქმის დაუჯერებელია, მაგრამ ეს სასიამოვნო საქმე ჩვენი ვეჯილების ინიციატივას ეკუთვნის. მეტათ გაჭირვებულ მდგომარეობაშია ჩაყენებული ჩვენი მხრის მკვიდრი, როცა მას საქმე სამართალთან და სასამართლოსთან აქვს. იგი ვერც სასამართლოში იგნებს გზას, საცა მისი არაფის არაფერი ესმის და ვერც იმასთან, ვისიც პირდაპირი ღმნიშნულებაა ასეთ საქმეში დახმარება გაუწიოს და მით თვითონაც ირგოს და სხვასაც არგოს. სახეში გვყავს ნაფიც ვეჯილები. მართალია, არც ნაფიც ვეჯილთა კორპორაცია ღვას სასურველ სიმალღეზე ზნეობრივათ და ეს მათმა კრებულმაც აღიარა, მაგრამ რაც უნდა იყოს ვეჯილი და ჩვენში საკმაოთ ცნობილი «აბლაკატი», ძალიან შორს არიან ერთმანეთზე და ბევრს მოიგებს მკვიდრი თუ ვეჯილთა კორპორაცია მისთვის ხელმისაწვდომი და მისაგნები გახდა. და აი სწორეთ ამას მიაქცია ყურადღება ნაფიც ვეჯილთა საბჭომ და 10 ოქტომბრიდან თფილისში დაიწყო მოქმედება ნაფიც ვეჯილთა და მათ თანაშემწეთა კონსულტაციამ (ოლქის სასამართლოსთან). აქ შეიძლება ყოველ დღე რჩევის მიღება, საჭირო ქალაქების შედგენა და სხვ. ღარიბთათვის რჩევა უსასყიდლო იქნება. დარწმუნებული ვართ საკმაო მნიშვნელობა ექნება ამ დაწესებულებას ჩვენ ცხოვრებაში, თუ თავიდანვე საქმე რიგიანათ დააყენეს და ხალხის ნდობა მოიპოვა. დიდი მნიშვნელობა ექნება მას ფარულ ადვოკატურასთან და აგენტურასთან ბრძოლაშიაც, რომელნიც თავსატეხ კითხვათ განდომია ჩვენ დიპლომათ ვეჯილებს და არ იციან როგორ დახწიონ თავი. აგენტურის და „აბლაკატურის“ მოსპობით კი ყველაზე მეტს თვით ვეჯილები მოიგებენ და მათი მხრით ამის შეგნება გვაძლევს იმედს, რომ საქმეს ენერგიით მოეკიდებიან. როგორც ხედავთ ორივე მხარე მოგებული რჩება, ხოლო ამისთანა საქმე და შემთხვევა დღევანდელ ცხოვრებაში მეტათ იშვიათია და დავგრჩენია ნაყოფიერი მოქმედება ვუსურვოთ საქმის დამწყებთ.

\* \*

მეორე კვათილი საქმეც არის გამოწყებული ჩვენ ქალაქში, სახელდობრ, საშუალო განათლების კურსები, მაგრამ სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ რაღაც კარჩაკეტილობის ხასიათი დაყოლია და ამ კურსებზე ჩაწერის მსურველები ვერც კი აგნებენ მას. «Тифл. Лист.» № 234-ში მოთავსებულია ბ. ი. უ—ს წერილი, რომელიც ევედრება საქმის მეთაურთ, გამაგებინეთ სად შეიძლება თქვენ კურსებზე ჩაწერა და რა პირობებითო. როგორც ვთქვით თვით საქმე მეტათ სიმპატიურია და სასურველია უფრო ადვილი მისაგნები იყოს, მოიშოროს ის



ბიუროკრატიული კარჩაკეტილობა, რომელიც მას დაყოლია, და მხოლოდ მაშინ შეეძლება სასურველი შედეგის მოტანა.

ჩვენი ბაქო მუდამ ბაქოთ რჩება. იგი თავის ელფერს, თავის ზნე-ჩვეულებას, რომელიც უმთავრესათ იმითია შესანიშნავი, რომ ერთ აღვირწახსნილ ექსპლოატაციას წარმოადგენს, არ ლაღატობს და ყოველთვის ამით იქცევეს ყურადღებას. საცა წარმოება და მრეწველობაა, იქ რასაკვირველია ექსპლოატაციაც არის, მაგრამ ისე თვალსაჩინო, ურცხვი და დაუბრუნებელი, როგორც ბაქოში მგონი არსად. იგი მტაცებლური წარმოების ტიპიური ქალაქია. ავიდეთ მაგალითათ იქაური კონკის ადმინისტრაცია; აი რას წერს გაზ. „Нов. Огно.“ (№ 5843): „ბაქოს კონკის ადმინისტრაციას ვერ მოუხერხებია მოიკლოს ისეთი სიამოვნება, როგორც ქუჩრებისა და კონდუქტორებისგან აღებული ჯარიმებით შემოსავლის ზრდაა, იმ მოსამსახურეთაგან, რომელთაც ქვეშაობით მათხოვრული სასყიდელი ეძლევათ თავისი კატორგულ შრომისათვის. და აი ნ ოქტომბერს ამ ადმინისტრაციამ სასტიკი საყვედური გამოუცხადა ყველა კონტროლიორებს, რადგან მათ ნაკლებათ აღუნიშნავთ კონდუქტორების და ქუჩრების მიერ სამსახურის წესის აუსრულებლობა და ამ მიზეზით ჯარიმათა რიცხვსაც დაუკლია». ყოველი რიგიანი და სინილისიერი მწარმოებელი თუ ვაჭარი მეტათ კმაყოფილი დარჩებოდა ასეთი მოვლენით, როგორც მოსამსახურეთაგან სამსახურის წესის უნაკლოლოთ შესრულებათ, მაგრამ ბაქოს მრეწველი და ისიც კონკის პატრონი სულ სხვაფერ ფიქრობს: მისთვის საინტერესოა შემოსავლის ზრდა და არა საქმის რიგიანათ წაყვანა, მის ბიუჯეტში ჯარიმას საპატიო ადგილი უჭირავს; მართალია, იგი 20 ან 18 მანეთს ჯამავის უნიშნავს, მაგრამ იცის, რომ ამ თანხიდან თითქმის ნახევარი ისევ მას დაუბრუნდება ჯარიმის სახით და რა გასაკვირველია, თუ ასეთი იმედის გაცრუებით უკმაყოფილო რჩება და საყვედურსაც უცხადებს კონტროლიორებს, რომელთა დანიშნულება მისი აზრით იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება მეტი მსახური დააჯარიმოს.

ბაქოს არც მისი მკვებავი ბალახანა ჩამოუვარდება, და ბევრში უსწრებს კიდევ, ნამეტურ ახლა, როცა დღევანდელმა ხრონიკულათ ქცეულმა კრიზისმა ორივეს სული შეუხუთა. როგორც ყოველთვის და ყოველგან ეს კრიზისიც უმთავრესათ მშრომელთა კისერს აწევება მთელი თავისი სიმძიმით. კრიზისის შემსუბუქება რადიკალურ საშუალებათ წარმოების შემცირებაა მიღებული ე. ი. მუშათა შტატის შემცირება და ამისთვის ბალახანელ მწარმოებელთ ვერ ეუსაყვედურებთ, მარა აქ მას სხვაც ემატება. გარდა იმისა, რომ „ერთი კალმის მოსმით აუარებელი მშრომელი ხალხი იდევნება წარმოებიდან და ულუკმაპუროთ რჩება“, «დარჩენილებს უკლებენ ჯამავის თვეში ორი-სამი მანათით, ხოლო სამუშაო დღეს უმატებენ, და დღე-ღამის განმავლობაში სამი «ვახტის» ნაცვლათ ორი მუშაობს, ე. ი. რვა საათის ნაცვლათ ამუშავებენ 12 საათს, მიუხედავათ იმისა რომ ასეთი ხანგრძლივი სამუშაო დრო კანონითაც აკრძალულია», გვიამბობს „Тифл. Лист.“-ის კორესპონდენტი. გვეონია,

ამას განმარტება არ ეჭირვება. ვიტყვიტ მხოლოდ, რომ ესეც ნამდვილი ბალახანური ეკონომიაა.

ბაქოს ხსენებაზე ბათომიც მოგაგონდება კაცს, და ბათომი ხომ უვოლსკოთ არაფერია. მეტათ ახირებული კაცი ყოფილა ეს ვოლსკი, (ახალი არჩეული ქალაქის მოურავის ამხანავი თუ მოადგილე, რასაც წრფელი გულით ვულოცავთ), და ახირებულ მდგომარეობაში ჩააყენა ჯერ თავისი თავი ქალაქის საბჭოში, ცნობილი ინციდენტის გამო, და მეორე შემთხვევაში მთელი კრება. პირველ შემთხვევაში — კაცი არ არის, რომ მას ამართლებდეს: ზოგი იმისთვის ემდურის, რომ თავმჯდომარეობა იკისრა და პასუხის გებაშიც მიცეს, ზოგიც იმისთვის — რატომ თავიდანვე შენ არ გადიკადე ჯაჭვი და არ იუფროსე, როცა უფროსი იყავო, და ყველა თანახმაა, რომ მან რაღაც წესი დაარღვია. ხოლო მეორე შემთხვევაში მან არა თუ წესი დაარღვია, მთელ კრებას თავზე გადააბიჯა და რამდენიმე საათის მსჯელობის და ბასის შემდეგ მიღებული დადგენილებანი ისე ჩაუწერა ოქმში, როგორც მას უნდოდა და არა კრებას (იხ. წერილი ბათუმიდან „კვალი“ № 40). დღემდის არაფერი ვთქვით ამის შესახებ, რადგან ვფიქრობდით ბ. ვოლსკი საჭიროთ დაინახავდა რამე განმარტებას, მაგრამ ორი კვირის შემდეგაც მხოლოდ დუმილია ჩვენი კორესპონდენტის პასუხათ. სამწუხაროა, რომ ასე კრების გადალახვა შესაძლებლათ მიაჩნიათ ისეთ პირებსაც, რომელნიც საზოგადო მოღვაწის სახელს ატარებენ, და სამწუხაროა ჩვენში წესათ შემოღებული ჩაჩუმებაც. ყოველი მოღვაწის და საქმის მეთაურის მოვალეობა საზოგადოებას თავისი მოქმედების განმარტება და ახსნა ნიცეს და ეს კარგათ უნდა იცოდეს ბ. ვოლსკიმაც.

სწავა-და-სწავა აშბები.

საერო განათლების სამეცნიერო კომიტეტს ნება დაურთავს ცნობილი პედაგოგის ი. კ. უშინსკის სახელმძღვანელო „Родное Слово“ ხმარებაში შემოიღონ დაბალ სასწავლებელთა ყველა კლასებში. ეს სახელმძღვანელო 20 წლის განმავლობაში განდევნილი იყო სასწავლებლებიდან.

იუსტიციის მინისტრს გამოუგზავნია კავკასიაში მოხელოე კაზარინი, რომელმაც დაახლოვებით უნდა გაიცნოს ადგილობრივი საპატიმროები და მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებელი ღონისძიებანი შეიმუშაოს.

7 ოქტომბერს თფილისის სათავად-ახნაურო ბანკის დარბაზში დანიშნული იყო კერძო კრება, რომელზედაც უნდა განეხილათ ი. კერესელიძისათვის ძველის დადგმის საქმე. კრებას ხუთი-ექვსი კაცის მეტი არ დაესწრო და ამიტომ 21 ოქტომბრისთვის გადაიდგა. რამდენსამე პირს დაავალეს შეადგინონ ხარჯთ-აღრიცხვა, თუ რა დაჯდება საფლავის ქვისა და მოაჯირის გაკეთება. ამ ხარჯთ-აღრიცხვას წარუდგენენ კრებას 21 ოქტომბერს.

თფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარემ მიმართა ქალაქის თვით-მმართველობას, ადმინისტრაციას და სხვ. გაავრცელონ ხალხში ცნობა, რომ დღეიდან თფილისის ოლქის სასამართლოსთან, სასამართლო დაწე-





სებულებათა სადგომში, დაიწყებს მოქმედებას ექილების კონსულტაცია. კონსულტაცია იძლევა სიტყვიერ რჩევას და ადგენს ყოველგვარ ქალაქებს; ღარიბებს ფულს არ გადახდებიან; მთხოვნელებს მიიღებენ დილის 10 საათიდან 2-მდე. ქალაქის გარეთ მცხოვრებთ შეუძლიათ წერილობით მიმართონ კონსულტაციას, მაგრამ საპასუხო წერილისათვის უნდა გამოგზავნონ მარკა. ხალხში ამ დაწესებულებაზე ცნობების გასაერთოებლათ კარგი იქნებოდა, რომ სასამართლოს თავმჯდომარე გაუგზავნიდეს საჭირო ქალაქს ადგილობრივ ენებზე სასოფლო კანცლარიებს.

ამ მოკლე დროში გაიმართება მედიცინებისა და მევენახეობის კრება. კრებისთვის მომზადებულია რამდენიმე მოხსენება.

10 ოქტომბერს ამიერ-კავკასიის რკინის გზის მე-489 ვერსის პატარა სადგურზე 59 ვაგონიდან შემდგარი საქონლის მატარებელი რელსებიდან გადავარდა. 11 ვაგონი სრულებით დაიშხვრა, დაშავდა ერთი კონდუქტორი.

როგორც ვაზ. «კავკასი» იტყობინება, სასულიერო მთავრობას ბრძანება გაუცია, რომ ბეჯითათ ადევნონ თვალ-ყური, თუ რა წიგნებს კითხულობენ სემინარიელები სასწავლებლის გარეთ.

28 ოქტომბერს კავკასიის სამეურნეო დარბაზში მოხდება საზოგადო კრება სახალხო კითხვათა კომისიის წევრებისა. კრებაზე განიხილავენ ანგარიშს, ამოიჩვენენ კომისიის თავმჯდომარეს, ხაზინადარს და მდივანს.

საჯარო ლექციების კითხვა საშუალო განათლების საგნებზე დაიწყება 18 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, პირველ სავაჟო გიმნაზიის დარბაზში.

ამ თვის რვას ოზურგეთში დანით მოკლა ადგილობრივი ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი ილ. ს. მგელაძე ამავე კანტორის მოსამსახურემ, ტელეგრამების და წერილების დამტარებელმა თოთიბაძემ. მიზეზი დანაშაულობის ჩადენისა ისა ყოფილა, რომ კანტორის უფროსს სამსახურიდან დაუთხოვნია თოთიბაძე.

8 ამ თვეს დაიწყო სწავლა თფილისის ახლათ დაარსებულ მხატვრობის სკოლაში. მოსწავლე 80-ზე მეტი ჩაეწერა.

ვაზ. «ცნ. ფურც.»-ს იტყობინებენ, რომ პერლინის უნივერსიტეტს განზრახვა აქვს დააარსოს ქართული ენის კათედრა.

მერძვეთა და საქონლის მომშენებელთა კრებამ სხვათა შორის დაადგინა: 1) ნორმალურ რძეთ ჩაითვალოს ისეთი რძე, რომელშიაც არა ნაკლებ 2% ქონისა იქნება; ქუქყიანი რძის გაყიდვა აიკრძალოს; წვის დამრღვეველი უნდა დაისაჯოს; 2) კარაქში უნდა იყოს არა ნაკლებ 80% (ეს ნორმა სავალდებულო არ არის სოფლებსათვის); აიკრძალოს ერბოში სხვა ნივთიერებათა გა-

რევა; 3) მიწათმოქმედების მინისტრის რწმუნებულის განკარგულებაში უნდა იქმნეს საქონლის მოშენების მცოდნე სპეციალისტი; გაიმართოს ამ საგანზე ხალხში ცოდნის გასაერთოებლათ კურსები, სკოლები და კრებები და დანიშნოს ინსტრუქტორები; 4) გაიხსნას საშუალო სასწავლებელი მერძეობისა და საქონლის მოშენებისა; 5) ეთხოვოს სამეურნეო საზოგადოებას, იშუამდგომლოს მიწათმოქმედების სამინისტროს წინაშე 60 ახალ სისტემის ვაგონების გამოგზავნაზე რძის ნაწარმოებისა და ხილის გადასაზიდვათ; 6) ეთხოვოს მიწათმოქმედების სამინისტროს მიაქციოს ყურადღება კავკასიის მეცხვარეობას და გამოაკვლელ იქმნას იგი მეცნიერულათ. კრების ყველა დადგენილება დაიბეჭდება და წარედგინება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას.

სამშაბათს, 9 ოქტომბერს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში აგრონომის ა. ს. ფირალოვის თავმჯდომარეობით გაიხსნა კავკასიის შინა მრეწველთა კრება. ვიდრე დანიშნულ მოხსენებათა განხილვას შეუდგებოდნენ, თავმჯდომარემ წარმოთქვა სიტყვა, რომელშიაც დაახასიათა კავკასიის ბუნება და მისგან გამოწვეული სხვა-და-სხვა ცხოვრების პირობები და განაცხადა, რომ კიდევ დიდხანს ექნება კავკასიაში შინა მრეწველობას მნიშვნელობა მცხოვრებთა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

შემდეგ ა. ა. ქალანთარმა წაიკითხა თვისი მოხსენება შინა მრეწველობის ნაწარმოებთა შესაძლებელ წარმატებაზე. მისი აზრით, ევროპის იმ ადგილებში, სადაც უმაღლეს საფეხურამდეა განვითარებული საქარბნო-საფაბრიკო წარმოება, იქ არამც თუ მოიპოვონ ან შეფერხდნა შინამრეწველობა, არამედ უფრო გაუმჯობესდა ეს საქმე, რაც, რასაკვირველია, ძლიერ საეჭვოა. მაგ. მოიყვანა მომხსენებელმა სკანდინავიის და შვეციის ცხოვრებიდან, სადაც მთელი საზოგადოებაა შემდგარი დიდი თანხით; აქვთ თავიანთი სკოლა, საწყობები და სხვანი. ამ საზოგადოების უმთავრესი მიზანია შეუწყოს ხელი ხალხში აღნიშნულ წარმოების გამტკიცებას, რისთვისაც ყოველ საჭირო ცნობებსა და მასალას აწვდის ხალხს.

საიამოვნებით მიეკება საზოგადოება კნ. მ. მ. თუმანიშვილის მოხსენებას იმის შესახებ, თუ რა არის საქირო დღეს ხალიჩების კეთებისა და ამ მრეწველობის დარგის გასაუმჯობესებლათ. კნ. მ. მ. თუმანიშვილისამ თვის ვრცელ მოხსენებაში საყურადღებო ცნობები წარუდგინა კრებას მის მიერ ამ ცხრა თვის წინეთ დაარსებულ სახელოსნოს შესახებ; აღნიშნა ყველა საჭიროებანი, თუ როგორ მოეწყოს ჩვენში ხალიჩების კეთების საქმე. მომხსენებელის აზრით, საჭიროა მოეწყოს ერთი ცენტრალური სახელოსნო, სადაც მიიღებოდნენ სოფლებიდან ქალები სასწავლებლათ და მისი განყოფილებანი სოფლებში. ხალიჩების კეთების საქმეს რომ სერიოზულათ ხელი შეეწყოს, უნდა მიეცეს საშუალება მასალის დამზადება-მოპოვებისა და აგრეთვე უნდა დახმარება გაეწიოს მათ ერთი საერთო საწყობის დაარსებით, სადაც ყველანი გასაყიდათ დააწყობენ თავიანთ ნაწარმოებთ.

შემდეგ ბ-ნმა სულთან კრიმ-გირეიმ მოკლეთ აცნობა კრებას, თუ როგორ აქვთ სპარსეთში ხალიჩების სახელოსნო მოწყობილი ინგლისის ვაჭრებს ციგლერის ფირ-



მით. რადგანაც გამოირკვა, რომ ეს სახელოსნო თუმცა დიდ სარგებლობას უწევს ადგილობრივ მცხოვრებთ, მაგრამ ვაჭრულ ნიადაგზე არის დაყენებული, ამიტომ კრებამ გამოთქვა, ჩვენში თუ ამგვარი რამე გაკეთდეს, სულ სხვა რიგით უნდა იქმნეს მოწყობილი, რომ მისგან ხალხი არ იყვლიფებოდეს და ცოდნას იძენდესო.

10 ოქტ. სხდომაზე წაკითხულ იქმნა სამი მოხსენება. პირველია წაიკითხა ა. ქალანთარმა, რომელმაც დასახელდა სამი საშუალება ხალხში შინამრეწველობის განვითარება-წარმატების შესახებ. მეორე მოხსენება წაიკითხა კნ. თუმანიშვილისამ შესახებ თფილისში ხალიჩების საკეთებელ ცენტრალურ სკოლის დაარსებისა. მესამე მოხსენება წაიკითხა სააკოვმა, რომელმაც ის აზრი გამოთქვა, რომ შინამრეწველობის განვითარებას განსაკუთრებითი ყურადღება უნდა მიექცეს მთა ადგილებში, სადაც მიწის მოსავალი ძლიერ მცირეაო. შემდეგ დიდი კამათისა, კრება შემდეგ მოსაზრებაზე გაჩერდა: სოფლის საზოგადო სკოლას, თუმცა არა სისტემატიურათ, მაგრამ მაინც კარგი დახმარება შეუძლია გაუწიოს ხალხს ტექნიკურ ცოდნის გავრცელების საქმეში. დიდი კამათი გამოიწვია საკითხებში ცენტრალურ და ადგილობრივ სპეციალურ სკოლის დაარსებისა და ინსტრუქტორთა ინსტიტუტის მოწყობის შესახებ. კრებამ ხმის უმეტესობით ხალხში ტექნიკურ ცოდნის გასავრცელებელ საშუალებათ იცნო: პირველია ინსტრუქტორთა გაგზავნა, მეორეთ—ადგილობრივ სკოლებში და სპეციალურ სასწავლებლებშიაც ტექნიკური საგნების სწავლება და მესამეთ—ცენტრალურ, სპეციალურ სატექნიკო-სახელოსნო სკოლების დაარსება.

ჩვენ მივიღეთ შემდეგი გამოცემა: **А. Натроевъ. Мцхетъ и его соборъ Свѣти-Цховели. Историко-археологическое описаніе (съ 27 рис. и 55 орнам.). Изд. Ком. по реставраціи Мцх. собора. თფილისი, 1901 წ. ფასი 3 მანეთი.**

**კორესპონდენციები.**

**დ. ხმანი.** «თავით არ იყო ძმარია შიგ ჩაურაეს წყალი» რომ არის ნათქვამი, სწორეთ ასე დაქართა ჩვენ სამკითხველს. თავიდან არ უკვდა ბუკრი მკითხველი და, რა რომ თითო კაპ. გარდასასადი დანიშნეს შესვლასე, უფრო იგლო მკითხველთა რიცხვმა. სად უნდა იშოვოს მოსწავლე ბავშვან სოჭარმა, რომელნიც შეადგენს მკითხველთა მომეტებულ ნაწილს უოველ შესვლასე თითო კაპ.? ჩუნი სამკითხველს საქმე წინ წაწევის მაგერათ უკან მიდის: მას არ აქვს წიგნები, არ მოდის ეს ერთი ხანაა ზოგერთი გასეთები, რომელიც უწინ მოდიოდა, და მკითხველთა რიცხვიც თან და თან კლებულობს. რას უნდა მივაწერათ უოველიც ეს? რასაკვირველია, ბ-ნი გამგეს და წევრების გულგრილობას ამ საქმისადმი. ბ-ნი გამგე წევრების თანადასწრებით რაც უნდა იმას წვეუტს სამკითხველსოთვის საზოგადოების დაუყოთხავათ. ბ-ნი გამგეს ასეთი ქვევა ძლიერ წინთ აჭურ მცხოვრებლებს და ვაჭრებს. ბუკრისგან გავიკან: «გვინდოდა შეწვევით სამკითხველს, მაგრამ რადგანაც კრებაზე არ მიგვიწვიეს, ბ-ნი გამგე, რაც თვითონ სურს, იმას წვეუტს უკრებოთ, ამისთვის არ შეგვიკითხო. ბ-ნი გამგის ასეთმა ქვევამ შეიძლება დახადოს აჭურ მცხოვრებლებში სამკითხველს სიმუღელი, რაც ძლიერ

შეამცირებს მკითხველების რიცხვს და შექმნის ვაკუუმს სამკითხველს საქმე იქამდინ მიაღწევს, რომ სამკითხველო დანერგება, ამისთვის ბ-ნი გამგე ვაჭრს იხამს დანიშნავდეს კრებას, მიწვევდეს მცხოვრებლებს, ვაჭრებს და გააკვირებდეს მათ, რა მდგომარეობაშია სამკითხველო.

გარკი იქნება თეატრის კომიტეტი ანგარიშის გამოცხადებას დაიჩქარებდეს. დიდათ გააკვირებს საზოგადო თეატრის კომიტეტის საქციელი. აგერ ეს მეორეჯერ არის, რომ „Тифл. Лис“ კორესპონდენტი ბ-ნი „Колхидецъ“-ი დასძლავს კომიტეტის წევრებს და ზასუხი კი არც ერთმა წევრმა არ გასცა. ნუ თუ უოველიც, რასაც ბ-ნი «Колхидецъ»-ი ამბობს, მართალია?

ქ ქ.

**იმიდანვი.** სონელებს რამდენიმე წლის შრომის შემდეგ ეღიწის სამკითხველო. ხანამ სამკითხველო არ იყო, დიდი სიყვარულით ისინიებდნ მას, უკვლას სურდა კვირკვი ნასიკვარი დღე მანც გაეტარებია შიგ, გაგო თავის მესობელ ქალაქების და სოფლების ამბები გასეთის საშუალებით; ასლად რადესაც სამკითხველო უკვე გაჭკვს, მდიან ძვირათ ნასულობენ მას განსაკუთრებით ისინი, ვისთვისაც განაზრახს სონის ინტელიგენტთა ჯგუფმა სამკითხველს დაარსება. მის ნაყოფიერ მოქმედებას ორი მიზეზი უძლის სელს: პირველი—საზოგადოების ერთი ნაწილისგან სამკითხველს მნიშვნელობის შეუგნებლობა და მეორეც ის, ვინც უნდა შეადგენდეს მკითხველთა უმრავლესობას—სონელ ნოქრებს უქმა და საქმის დღეები გაერთებული აქვთ.—სრულიად არა აქვთ მოცლა, რომ სამკითხველო ინახულან. იმედა ადგილობრივი მთავრობა ამ საქმეს უურადლებს მიაქცევს, კვირობით მანც აუგრძლავს მოკვლე საღსს დუქნების გაღებას და მით ცოტა-ოდინ თავისუფალ დროს შექმნს ნოქრებს.

ილია პახტაძე.

**რუსეთის ცხოვრება.**

ერთ საუურადღებო მაგალითს, თუ სადამდი მიდის ადამიანი არსებითი ზურის მოპოებაში და რა და რა საშუალებას სმარობს ამისთვის, ვსჯავთ შიდა რუსეთში. ასეთ საინტერესო სელობას წარმოადგენს წურბლის ტურა, იმ წურბლის, რომელსაც უოველი ჩვენგანი კარგათ იცნობს, რომელიათც მეტათ ბოროტმოქმედებს ჩუნი სოფლის მედიცინა, სოლო რიგანათ მოსმარებელი დიდ სამსახურს უწევს დიზლომიან მედიცინსაც. დონში მეტათ ბუკრი წურბულია და მისი ტურით და უიღვით ბუკრი ირჩენს თავს, მაგრამ აქ ისე ზრითიტიულათ არის მოწყობილი საქმე, რომ რამდენიმე ასი წურბული, რომელიც სულ ორიოდუ მანეთი ეღირება, ადამიანის სიცოცხლის ფასათ გვიღირს. უფრო დედაცაგები ეტანებიან ამ სელობას. წურბლის დამტერი ჩადის მუსლებამდინ ან კიდევ უფრო დრმათ წყალში, წელქვეით გასდილი, და უცდის, ხანამ რამდენიმე წურბული მოკვიდება განტკბესე. როცა იგზმნობს იმდენი მოკვიდა, რომ დიწს ამოკვლია, ამოდის, მოკვიდებულ წურბელს იტილებს, ჩასვამს დოქში და ასეე ბრუნდება წყალში და ასე იმეორებს, ხანამ ბლომა არ მოუფრის თავს. ასე მარტივია თვით წურბლის დატერის ობუჩრცია, მაგრამ გარდა იმისა, რომ წყალში ხანგრძლივი გაჩერება მკენებელია ორგანიზმისთვის, უოველი დატერილი წურბული თითო ტრილობას აძლევს დამტერს და სულ მტრე რომ ვთქვათ, თითო ტრილობადან თითო ჩაის გოჯნი სისსლი მანც კვარებას და თუ ზღვა წვე-





თით დაიღვრა, ადამიანი უფრო ადვილათ და მალე დაწდება სისხლიდან. ამით აისხნება ის, რომ წუჭბლის დამკურნებელი მუშაობის დროს გული მისდით, თავბრუ ესმით და შემდეგ კი ჭლებიდან, ავთსდებიან და უდროვით ეთხრებიან წუთისა-ფელს. «*Ир. Кр.*»-ში მეტათ გულის შემზარავი შემთხვევაა აწერილი. ერთი ამ ხელის დედაცავე წასულა წუჭბლის დასაჭერათ თავისი ქმრით. ქმარს შემსრუწველად უმჯობინებია და ქალი მარტო დაჩხენილა. დაუჭერია ვიდრე ბლამით წურბული და კარგა სნის მუშაობის შემდეგ თავის ბრუელი იგრძნო, მაგრამ, რასაც მდიდარ ადგილს წატუდომოდა, არ მოეშვა. ერთ ამოსვლის დროს, როცა წურბული დოქში უნდა ჩაესვა, სისურვისაგან წაიქცა, საუბედროთ ამ წაქცევის დროს დოქი გატყდა და გრძნობა დაკარგა. გატყნული დოქიდან გამოსული წურბული დასეოდა გულ შემწეებულ დედაცავე და ისე გაესადათ, რომ წასაყვანათ მოსულ ქმარს გაბერილი, გაღურვებული შეშის მსგავსი რაღაც დასვდა. შინ მიტანილა ქალი გრძნობასე მოვიდა, მაგრამ მოლოთ ამ სამწყურს ამის მოთხრობა მოასწრო, ისევე დაკარგა გრძნობა და სულიც დადა. ასეთი ტრადიციული სიკვდილი არა იშვიათია ამ ხელისაში.

== გიგის უნივერსიტეტის ზოგადი უნივერსიტეტის კერძო აზრი წარუდგინათ ქალების უნივერსიტეტში მიღების შესახებ. მათი აზრით, შესაძლოა ქალების თავისუფალ მსმენელებათ მიღება საფიზიკო-სამათემატიკო და ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტებზე.

გიგის პოლიტექნიკუმის პრაფესორებს კი მსჯელობა აქვთ ქალების ნამდვილ სტუდენტებათ მიღების შესახებ.

== სენატის განმარტებით, სეკტანტებს (მწვანელებს) აქვთ უფლება ქალაქის არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა.

== უფის გუბერნიისაში სასკოლო მიწები დაუბრუნეს მოსკოვს (ხინოვიკებს) იმ განზრახვით, რომ სხვაი მიწათმფლობელობისათვის მოკვადებით იქ იყოს. დაუბრუნებიათ სულ მოსკოვებისათვის 362,509 დეკატ. 682,220 მან. და აქედან ასლა შეიძველების ხელში მოსლო 89,959 დეკატი-ნას, დანარჩენი 272,550 დეს. კი ამ «სხვილ მესაკუთრეთ» სხვებისათვის მიუიღნათ 4.976,808 მან.. გვარიანი ვარგო მოკვება: დესკატი, რომელიც მათ უღირდათ 1 მ. 80 კ., გაუიღნათ 18 მ. 27 კ. ასეთია უოკელი ნამდვილი დონის-ძიების შედეგი.

ს ა ს ლ ვ ა რ ვ ა რ ე თ .

**ივლინი.** კონომიურ უჩრდალ „სტატისტიკა“-ში საუბრად ლეონი წერილი დაიბეჭდა. ამ წერილის ავტორი ამბობს: „ლიბერალურ ხარტიაში უთანხმოება ჩამოვარდა და ამიტომ რეპრესიას ძალა და გავლენა ადარ აქვს. თითონ ინგლისის კრმა დიდი მანიფესტაცია უნდა გამართოს და მთავრობას თავისი უმადოებელი გამოუცხადოს; მთავრობა მეტათ უხეიროთ იქცევა, მისი გამოცხადება უსათუოთ საჭიროა. თუ ეს უნდა მთავრობა არ გამოიყვანა, ბურჟუაზია იმს დასასრული არ ექნება. ჩვენი მრეწველობა, კარობა და კრედიტი მთლათ დაეცემა; მუშები უსაქმით დაჩხენიან, გაფიცვებს გასართავენ და არეულობას მოასდგენენ. საზოგადოებამ მსნეთ უნდა მოითხოვოს, რომ ჩვენი ქვეყნის საქმეებს ნიჭიერი კაცები განაგებდენ.

— კოლონიების სამინისტრო აცხადებს, რომ კუნძ. მალტაზე ოცი წლის განმავლობაში კიდევ იტალიური ენა დარ-

ჩება სასკოლო ენათ. აქედან ჩანს, რომ მალტელების პროტესტმა მიზანს მიახწია.

— კანის კოლონიის სამხედრო წესების შემოღება მეტათ აღეგებს ინგლისის საზოგადოებას, მით უმეტეს რომ ასეთი მოქმედება მთავრობის მხრით კონსტიტუციის დარღვევით მიანნათ. ბევრმა გამოჩენილმა იურისტმა გამოთქვა თავისი აზრი ამ მოქმედების შესახებ. სანტუკესკი ცნობილი პოლიტიკოსის ჯარისკაცის სიტყვა. მისი აზრით: მთავრობას ნება არა ექნება სამხედრო განსაკუთრებული წესები დაწესების კანის კოლონიისაში. სამხედრო სასამართლოებსაც ამ კოლონიისაში უფლება არა აქვთ აჯანყებულებს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტონ. ამიტომ ეს მოსამართლეებიც და ისინიც ნამდვილი კანისმკვლელები არიან და ნაფიც-მსახურეთა სასამართლოში უნდა მოეთხოვოს პასუხის გება.

«ჩვენი კონსტიტუციის წესები მთლათ დაარღვია მთავრობამ. მართლაც ეს ამბები მეტათ შორს, ბრიტანიის იმპერიის მივარდნილ ვითსეში სდება, მაგრამ მანც გულ-გრძლიათ არ უნდა გუცქროდეთ ამ გვარ საქმეს; რაც დღეს კანის კოლონიისაში მოასდინეს შეიძლება ხვალ თითონ აქ, შეერთებულ სამეფოშიაც მოასდინონ. ჩვენმა მთავრობამ უსივრცელით დაარღვია კონსტიტუცია, ჯარისკაცებს უფლება მისცა სამართალი გადასტანს, დასტისა, შეთქმულობისა და აჯანყების საქმეები გაარჩიონ და სსვ. ერთი სიტყვით, მთავრობა იმნაირათვე იქცევა, როგორც ადრე ლუი-ნაპოლეონი საფრანგეთში: ნაპოლეონმაც რესპუბლიკის წესები დაასო; გამოჩენილი სასკოლო მოღვაწეები დაატუსადა, მშვიდობიანი მოქალაქეები თოფით დასერილა და თავის თავი დიქტატორათ გამოაცხადა. განა ჩვენ, თავისუფლებას დაჩუქებმა ინგლისელებმა, ასეთი წესები უნდა მოვითმინოთ, უნდა შევარჩინოთ მთავრობას ასეთი თავხედი, კანონი ქცევა? თუ სამსრეთ-აფრიკის კონსტიტუცია და კანონები ერთმა მინისტრმა ბ. ჩემბერლენმა გააუქმა, განა სხვა მინისტრებს კი არ შეუძლიათ მისთვისავე საქმე ჩაიდინონ?

**ბერმანი.** 1 ოქტომბერს ბერლინში გაისინა ქალთა კრება, რომელსაც იმდენი ხალხი დაესწრო, რომ ვიბეებიც კი გაკრებული იყო.

კრებაზე მრავალი საუბრადღებო ვითსებები წამოაყენეს ქალებმა. ეველან ქალს, რომელიც კი თანამედროვე წყობილებისა და ქალთა მდგომარეობის უკმაყოფილო იყო, აქ მოეყარა თავი. უმთავრესათ აქ იყვენ ძალადი და საშუალო წრის წარმომადგენლები. დოქტორმა ქალმა ანიტა აუგუსტინა წამოაყენა ვითსეა გერმანული ქალის პოლიტიკურათ აღზრდის შესახებ. თავის სიტყვაში მან დაასლოებით შემდეგი თქვა: პოლიტიკური სამწიფით გერმანული ქალი სხვა ქვეყნის ქალებზე განცილებით დაბლა დგას; სხვა-და-სხვა საზოგადოებებში, რომლებიც უფლებათა გაფართოებისათვის იბრძვიან, გერმანიისაში 30 ათასი ქალია, მაგრამ მათ შორის რამდენიმე ასიც არ მოინახება ისეთი, რომელთაც შეეძლოთ დამოუკიდებლათ მსჯელობა საზოგადო ვითსებების შესახებ, და თავისი რწმენა-შესუდლებათა მტვიცეთ დაცვა. ამ მხრივ ძალადი და საშუალო წოდების გერმანული ქალი დაბლა დგას მუშა ქალებზე. ირლანდიელების დროს მუშა ქალები უოკელებს დონესა სმარობენ თავისი აზრების გასაუცხადებლათ, მომსრეების გასამსწეებლათ და თავისი მიზნის განსახორციელებლათ, რადგანაც მათ, შეგნებული აქვთ საარხევრო აქტის დიდი მნიშვნელობა, ჩვენ კი ძალადი განათლებით თავი მოკვაქვს და სრულებით არა ვიფიქრობთ ხარლამენტის გაუმჯობესებისათვისა.



თქვა ანტიამ. ჩვენ არ ვიცით, თუ რას წარმოადგენს ჩვენი სა-  
 სოციალური მმართველობა და დროა გამოვიდეთ და  
 მოვიგონოთ ჩვენი მოკლეობანი. ჩვენი ასეო მისანი  
 პოლიტიკური აღზრდა, ჩვენ უნდა შევუძღვოთ, ვისარგებლოთ  
 ჩვენი უფლებებით, — დაბოლოვა ორატორმა თავისი სიტყვა-  
 ელენა შტეკერმა წავიგოთ ვარჯიში რეფორმატი სასოლო რე-  
 ფორმის შესახებ. რეფორმატი დედაზნი ის იყო, რომ ქალთა  
 და ვაჟთა სწავლა-განათლება ერთად და ერთსა და იმავე სას-  
 წავლებელში უნდა წარმოებდეს, — რაც სულ შეუწყობს ქალის  
 გონებრივად და სწავლებით ამაღლებას. რეფორმატი მოყვან-  
 ნილი იყო იმ ქვეყნების მაგალითები, სადაც სკოლის აბგარ-  
 მს სისტემა დიდი ნაბიჯი გადადგა წინ და შესამჩნევი ნაყო-  
 თიც მოიტანა. კანონისე უმეტესი კითხვები შედგებულნი წო-  
 დების ქალთა ინტერესებს ეხებოდა, მაგრამ მუშა ქალიც არ  
 დაივიწყეს. უკანასკნელ წლებში გერმანელმა ქალებმა დაარსეს  
 ბიურო, სადაც იურიდიული და სხვ. რჩევები-დახმებანი ეძლე-  
 ვათ მუშა ქალებს სსკა-და-სსკა საჭიროების დროს; პირველი  
 ბიურო გაიხსნა 1893 წელი, მიუნხენში, ამას მოჰყვა ბიურო-  
 ები დრეზდენში, ლეიპციგში, ფრანკფურტში. დღეს კი ამ-  
 გვარ ბიუროთა რიცხვი 25-ია სულ 22 ქალაქში. ქალი — იუ-  
 რისტის რამოს წინადადებით კრებამ გადაწყვიტა, ყველა ამ  
 ბიუროებიდან შეადგინოს ერთი კავშირი. კრებაზე ის აზრი  
 გამოთქვა, რომ მუშა ქალები უნდა შეერთდნენ პრაქტიკულ-  
 ნალურ კავშირებს. ურთაღება მიაქცია გონგრესმა მოსამს-  
 სურე ქალთა მდგომარეობასაც. კრებამ გადაწყვიტა მოითხო-  
 ვოს კანონმდებლობის რეფორმა და ერთნაირი უფლებანი მო-  
 უპოვოს მოსამსახურეებსა და მათ დამჭირებულებს; დასას-  
 ლისთა და მოსამსახურე ქალთა წარმომადგენლებისაგან უნდა  
 შედგეს სასამართლო და აქ უნდა ირჩეოდეს ყოველგვარი და-  
 ვა დასასლისა და მოსამსახურე შორის. საკლდეულად და-  
 მატებით სკოლა და ავთომოფობისაგან და უბედური შემთ-  
 სვეებისაგან დასაღვეს უნდა გაუცხადდეს მოსამსახურეებზე-  
 დაც და სხვ.

**საზრუნავი.** პარლამენტის მომავალ სესიის დროს  
 ვალდეკ-რუსოს კაბინეტი დიდ გაჭირვებაში ჩავარდება, რადგან  
 არათუ მისი მუდმივი მოწინააღმდეგე კონსერვატორებს და მუ-  
 ლინისტებს, თვით მის მომხრე რადიკალებსა და სოციალის-  
 ტებსაც განზრახვა აქვთ, მთავრობას წინააღმდეგობა გაუწიონ  
 და ზოგიერთი მოქმედებისა და საქციელის შესუსი მოთხო-  
 ვონ. ვივანი და კამილ პელტანი დაწინაურებულნი, რომ ვალ-  
 დეკ-რუსოს სამინისტროსგან შემდგომნი არაფერს არ უნდა  
 მოკლდნენ მათი პროგრამის შესრულებაში. ამიტომ ამ დასის  
 წარმომადგენელთა ვალდეკ-რუსოთა: მინისტრ-პრეზიდენტის ზო-  
 გიერთ მნიშვნელოვან საკანზე დაკითხონ და მისი ნამდვილი  
 აზრი გაიგონ. პელტანი, სსკათა შორის, საკვლევინო პოლი-  
 ტიკის შესახებ შეკითხვას მთავრობას: პელტანი ფიქრობს,  
 ვალდეკ-რუსო სამარცხვინო პირობით შეეკრება კატიკანსაო. ვი-  
 ვიანი სოციალური რეფორმების თაობაზე დაკითხება მთავრო-  
 ბას; სოციალისტების აზრით, მთავრობა იმასა ცდილობს,  
 რომ მუშების სასარგებლოდ დაწერილი კანონები სულ გაა-  
 ქარწყლოს და თითქმის გააუქმოს. თუ ყველა ეს ხმები გამა-  
 რთლდა, მაშინ მთავრობა მართლაც განსაცდელში ჩავარდება,  
 რადგან ამ ორი ვალდებინანი მოღვაწის დასმარება მოაკლდება;  
 ამას გარდა, სამინისტროს მუდმივი მტრებიც, რასაკვირველია,  
 ამ ვარქობით ისარგებლებენ და თავიანთ მსრიაგ მთავრო-  
 ბას უფრო მძლავრად დაუწყებენ მტრობასა. შემარცხენეთა და  
 კაბინეტის შორის უთანხმოების შესამდებლობას 11 ოქტომ-

ბრის დეპუტატ ამროლებს: „პარლამენტი ბადა თხოველია უმეტეს  
 კანონით განსახლებულ იქნეს მანის მუშის მინიმალური სწო-  
 რა და მანებში შემოღებულ იქნას 8 საათის სამუშაო დღე.  
 საპასუხოდ ვალდეკ-რუსომ გამოაცხადა, რომ მთავრობა მისათ  
 არის რეფორმების განხილვისათვის, მსოლოთ სიფრთხილით,  
 და რომ მას, ვალდეკ-რუსოს არ სურს ისეთი რამ დაპირდეს  
 პარლამ, რისიც ასრულება შეუძლებელია. პარლამ, თანამათ  
 მთავრობის სურვილისა არ მიიღო წინადადება, რომლის ძა-  
 ლით ეს საკითხი დაუფრებელია უნდა განესილათ.

— ბიუროს ვომისამ რამდენიმე საუერადღებო ცვლი-  
 ლება შეიტანა ბიუროში თავდაპირველად; ვომისამ ბიურო-  
 ტიდან ამოძალა ის კრედიტები, რაც მშეადობიანობის დროს  
 სამხედრო სასამართლოების შესახასათაა დანიშნული. იმავე  
 ვომისამ დაარგინა, საკყო სასწავლებლებში ღვდლის თანამ-  
 დებობა მოასპოს და ქალების ყველა დაბალი სასწავლებლები  
 საში წლის განმავლობაში საკრო სკოლებით გადააკეთოს.

— საფრანგეთიდან განღებნილი ბერები ყველა შესახებ  
 სასკელმწიფოებს ეფარებან: ინგლისს, აკსტრ-უნგრეთს, შვე-  
 იცრიის და სხვ. და საზოგადოება ყველგან დიდ წინააღმდე-  
 გობას უწევს და მთავრობისგან თხოვლობენ ენერგიულ ზო-  
 მებს, რომ იესუიტების ორდენებმა მათში არ დაიბოდნ.

**სამხრეთ-აზრიკა.** გაზ. „Dail Mail“-ი იტუობინე-  
 ბა: პორტუგალიის მთავრობას ცნობა მოუვიდა, რომ კომ-  
 ტიპორტის ასლას მოსდა შეტაკება ბურებსა და ინგლისელებს  
 შორის. ინგლისის ვარის ერთი ნაწილი იმულებული იყო გა-  
 დასუფიყო პორტუგალიის საზღვარზე. ეს გაჭიკულები ლო-  
 რენცო-მარკეში გაკზანეს.

სმა დაადეს ვითომც დეკტი გარდაიცვალაო. ეს ხმა გა-  
 მოიწვია იმ ვარქობამ, რომ ამ ბოლო დროს, ის ლარ შე-  
 სვედრით ინგლისელებს. მაგრამ, როგორც ფიქრობენ დეკტი  
 ცოცხალი უნდა იყოს, და მისი აქნობადის სიხუმე მიეწერება  
 იმას, რომ ის ადგენს ასლს მოსაზრებას ომის გასაცდო-  
 ბათო.

უკანასკნელი დეპუტები ვადმოგვრქვენ: ინგლისის ცალკე რა-  
 ზმები 1 ოქტ. იტუობინებან, რომ მოკლედა 25 ბური, და-  
 ჭრლია—18, დატუევეს ელია—190 და თავის ნებათ დახე-  
 ბდა ინგლისელთ—50. ის რაზმთ, რომელიც ბოტამ ვრიაგე-  
 დის ოლქში მოიყვანა, უეშტეულია ერმელის ოლქისაკენ; სსკა  
 რაზმები კი მიმოფანტულია. ინგლისში მათ ხედებან. ამინ-  
 დი კიდევ ცუდია, რაც შესამჩნევად ამნელებს ინგლისელთა  
 მოძრაობა. დაწესდა საპოლიციო სადაცყო ადგილები სსკა-  
 და-სსკა გზებზე. პოლგოვნიკ პალჩერის რაზმის დაარჯნი სუ-  
 ტეულდის ასლო, ნ ოქტომბერს ბურებმა დატუევეს. კაპის  
 ასალშენში სმუტის მეტათ შეავწროეს ინგლისელებმა. შუა  
 ოლქებში და სამხრეთით ბურები გაფანტეს, გარდა კუტდურ-  
 მისა და ბუდიამალტის ოლქებისა, სადაც შეჭრის რაზმის  
 ნაწილი არის კიდევ გამაგრებული.

**ს ა რ ა ლ ი.**

ვაზაფხულის პირი იყო. ცივ ვომბორის მთის გრე-  
 ხილები ახლათ აშლილ მწვანეზე აქა-იქ კრელოთ მოჩან-  
 და თოვლი, რომელიც პატარ-პატარა ნაკადულებით იწუ-  
 რებოდა ძირს ხევებში და აქედან კი ერთათ შეერთებუ-  
 ლი ექანებოდა ძირს ვადაშლილ მინდვრებისაკენ, სადაც  
 მას უხედებოდა მწვანეთ აბიბინებული ჯეჯილი, რომე-  
 ლიც ხარბათ წოვდა თვისი ფესვებით ამ ციურ მინანას.





ალაზნის ველი შემთავლილი ცივ გომბორის მთისა და ქიაურის ტყის შუა გამოჩანდა, როგორც ზურმუხტის თვალი ოქროს ბეჭედზე. აქა-იქ გორაკებზე მწყემსებს ცხვარი გამოეშალათ. ზანთრისაგან ძარღვებ შეხუთული საქონელი დაფუნდრუკებდა სითბოზე და მწვანით გულ-მოჯერებული მალი-შალ გაუადიოდა ერთი ადგილადან მეორეზე. ძირს ბარში ნახნავსა და ნახნავ შუა დარჩომილ მინდორზე გაშლილიყო ძროხა, რომელიც სიამოვნებით აქნევდა კუძს და გულ-ხალისიანათ წიწკნიდა რძიან ბალახს. ამ მიწყნარებულ რაზმს, რომელიც რიგზე ჩასდევდა საძოვარს, ხანდახან გალაღებული ბულა თუ შეათოთქოლებდა ხოლმე და მაშინ მოისმოდა მეძროხის ხმა, რათა დაემშვიდებინა თავაწეულა რაინდი, რომ ფარას უფრო დამშვიდებით ეძოვნა ბალახი.

შუადღე მოტანებული იყო; მზის სხივები ჯერ ისევ დაკანკალებდნენ ცივგომბორის მთის წვერს, მაგრამ კავკასიონის მთებიდან უკვე დაჰქროლა სუსხიანმა ნიავმა და რამდენიმე საათის წინათ გალაღებულმა ბუნებამ უცებ ფერი იკვალა. ბარი უფრო ადრე მოემზადა სამგლოვანროთ, მას უფრო ადრე მოშორდა მზის სხივი და საღამოს მწუხრი ჩრდილივით დაფენა მის ამწვანებულ გულმკერდს. საღდაც ღელეში შაშვმა ჩაიკიკიკია, თითქოს ეს იყო ნიშანი მზის გამოსალმებისა. მეძროხეებმა აქამდინ თასმით ყელზე გადაგდებული ნაბადი მხრებზე აიწიეს, მომართეს ჩომბახები და ნელ-ნელა უბრუნეს პირი ძროხას ბინებისაკენ. ასევე მოიქცნენ ზევით გორაკებზე მეცხვარეებიც და მათაც ნელ-ნელა შეაყოლეს ცხვარი ფარეხებისაკენ. ახლა კი აღარ უნდოდა საქონელს გზის ჩვენება. იმათ კარგათ იცოდნენ, რომ ბინაზე მიელოდათ თბილი ბუნავი და გზა დაუგდებლათ თითონვე მიეშურებოდნენ იქითკენ. ეს დრო მწყემსებისათვის პაემანის დროა. მათ შეუძლიათ ამ დროს გულ-არხეინათ აედევნონ ძროხას თვით ბინამდე, ისინიც სარგებლობენ ამით და სწორეთ ამ დროს გამოეხმაურებიან ხოლმე ერთმანეთს, რომ მთელი დღე საქონლის ყურებაში თვალეზ გაწყალბებულებმა ცოტადანათ მაინც ამოისუნთქონ და პირუტყვების გარდა გამოეხმაურონ ერთმანეთს—მეტყველებსაც. აი ეს დრო იყო, როდესაც მეძროხე შაქრომ, ასე ოცდაორი წლის ბიჭმა, დაამგზავრა თავისი ძროხა ბინისაკენ, გადიგლო მხარზე არხეინათ ჩომბახი და გამოხედა ნახნავს იქით მეორე მხარეს ძროხის უკან მიმავალ ამხანაგს გიოს. მათ ერთი ორჯერ შეხედეს ერთმანეთს შორიდან და ნელი ნაბიჯით გამოვიდნენ ნახნავის კვალზე.

— გამარჯობა, გიო! მიესალმა შაქრო, როდესაც მეძროხეები დაუახლოვდნენ ერთმანეთს.

— გაგიმარჯოს, ზაქარიავ! მიუგო გიომ და რამდენსამე წამს ჩუმათ აჰყვენ ნახნავს დინჯი ნაბიჯით.

ამ სიჩუმის დროს გიომ ყალიონი გააჩადა. შაქრო კი, თითქოს ამით აძლევდა მეგობარს საღამოს, ხან ძირს ჩამოიღებდა ჩომბახს, ხან ისევ გაიღებდა მხარზე და ასე მიყვებოდნენ ერთმანეთს.

— გიო! დაარღვია ბოლოს სიჩუმე შაქრომ, იცი რა გავიგე, ბიჭო?!

— რა? შეეკითხა გიო და გამოუშვა დინჯათ ბოლი პირიდან, თითქოს ამით უნდოდა ეთქვა: შენ ვერას გაიგებდი ისეთს, რომ შენზე უწინ გიოს არა ცოდნოდა.

— რა და ის რო არწივანთ ილო ციხიდან გამოქცეულა და ახლა თურმე აქ იმალება მინდორში!

— ჰუ, ჩაიღმა გიომ, რას ამბობ, ზაქარიავ, ვინმე მოაქორებდა თორე ციმბირიდან გამოქცევა განა ვგრე ადვილია?!

— მოაქორებდა კი არა ნამდვილია. მედა ჩემმა ღმერთმა რო ნამდვილია. აბა ჩვენი ბასილა იმტყუნებს?! მე სწორეთ იმან მითხრა; გუშინ წინ თავის თვალით ენახა შიხიანთ ღელეში და პურაც მიეცა საქმელათ.

— კარგი ერთი თუ ღმერთი გწამს! აბა რას ამბობ, თქვენ მშიშარა ბასილას ალბათ გიჭი თუ შეხვდა ვინმე თორე ილოს აქ ვილა გამოუშვებს. გამოშვება რო სდომებოდათ რალათ დაიქვრდნენ?! მიუგო გიომ ისეუი კილოთი თითქოს აბუჩათ იგდებდა შაქროს, რომ მასთანა ქორებს ყურს ათხოვებს და იჯერებსო.

დაკვირვებულ თვალს რომ შეეხედნა გიოსთინ ამ დროს შეატყობდა, რომ მას ძალაზე უცემდა გული და მწარე ნაღველი ეფინებოდა მის გარუჟულ სახეს.

ის ამ სიტყვების შემდეგ ხმა ამოუღებლივ მოშორდა მეძროხეს და ნელნელა თავ ჩალუნული გაემართა ისევ თავის ძროხისაკენ. შაქრო გაკვირვებული უყურებდა მეგობარს, მას უკვირდა რათ მოშორდა ასე მალე გიო, როდესაც წინეთ თითქმის ბინებამდინ მივიდოდნენ ხოლმე ასე ლაპარაკით. მაგრამ ის დიდხანს არ გამოეკიდა ამ ფიქრს. იმანაც გადაუხვია ნახნავის კვალს და აედევნა მალე უკან ისევ თავის ძროხას ნელი ნაბიჯით.

მალე მწუხრმა ყორნის ფრთები ჩამოუშვა ალაზნის ნაპირებზე. მიწყდა ხმაურობა. ამ სიბნელეში რალაც ზღაბრულ არსებასავით გაჰყურებდნენ ერთმანეთს კავკასიის და ცივ გომბორის ბუმბერაზი მთაგრეხილები. ეძინა მინდორს, ეძინა ხალხს, მოქირნახულეს დილიდან საღამომდე. უცებ ერთი ხევის პირას, რომელსაც თავიდან ბოლომდინ ზოლივით ჩამოსდევდა ძეძვნარი ბუწყნარები დაიფთხიანდა ტყის ქათამმა და შრიალით ჩაეშვა ქვევით უფსკრულისაკენ. სწორეთ ამ ადგილიდან, საცა ეს ფრინველი ჩამოფრინდა, მალე თავი ამოყო და ნელნელა წელშიაც აიმართა ვლაცა კაცი. მან სიფრთხილით მიიხეღ-მოიხედა აქეთ-იქით, წადგა წინ რამდენიმე ნაბიჯი და გაჩერდა. მას უნდოდა ამ სიჩუმეში გაერკვია რამე ხმა. მისი სმენათ გადაქცეული სახე ყურებ დაცქვეტილი თვლიდა ყოველ წუთს, აცა ან ეხლა შემომესმის რამე ან ეხლაო. ხმაურობა არ მოისმოდა. ის ერთხანს კიდევ იყო ასე გაჩერებული და შემდეგ ნელი ნაბიჯით გამოვიდა ღელის პირს ბილიკზე. აქ ის ცოტახანს კიდევ გაჩერდა და შემდეგ შეუდგა პატარა ქედს, რომელიც გადასცქეროდა ერთი მხრით ბორცვებში მიმოფანტულ სოფელს და მეორე მხრით ალაზნის ველისაკენ დაფენილ ქალაქ მინდვრებს და აქედან გველეშაპივით გაწოლილს კავკასიონის მთის გრეხილებს. ის მიდიოდა ქედის მწვერვალისკენ. მიდიოდა ნელი ნაბიჯით, მაგრამ ეცნეოდა კი, რომ მგზავრი ნაჩვევი იყო ამ ალაგს და იცოდა კიდევ კარგათ თავისი გზის გეზი.

ი. ევლოშვილი.

(შემდეგი იქნება)



\* \*

„მოკვდაო! — მესმა: — ახ, ნეტავი მას! —  
 ზეცას სმენია მისი მუდარა  
 და სხვა რომ არაა გაუმეტნია,  
 უბოძებია მხოლოდ სუდარა,  
 რომ სიცოცხლის დროს ნაყივ-ნათოში,  
 შიმშილ-ნათმენი და ცრემლ-ნანამი,  
 ამ ქვეყნათ ყოფნის უკანასკნელ ჟამს  
 მით შეეშოსა უსულო გვამი.  
 მოკვდაო იგი!.. და ნეტავი მას,  
 რომ მისთვის თავსა არვინ იწუხებს  
 და აიაზმას ჯოჯოხეთისას —  
 ცრემლს ფარსევლურს — არ დააკურებს.  
 მოკვდაო იგი!.. და არც შეეძლო  
 მადლი რამ ექნა ამ პირზედ დროში:  
 მისებრვე ტანჯულს უანდერძა მან  
 თავის საჯიბე ორიოდ გროში...“  
 მესმოდა ეს ხმა უკმაყოფილო...  
 და ნუ თუ, კაცო, გული არ კრთოდეს —  
 მწარე ცხოვრების მწარე ნაყოფით  
 ცოცხალი მკვდარსა რომ შენატროდეს?!.

დ. თომაშვილი.

**ზნეობრივი კითხვაები.**

(შემდეგი. — ნ. № 41).

დღევანდელ ევროპაში ცოტას ნახავთ ისეთ ხალხს, რომელიც ერთნაირად უყურებდეს როგორც თავის შვილს, ისე სხვა ხალხის წარმომადგენელს, და დღევანდელ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკა ხომ ცოტათი დაწინაურდება იმ ველურის აზრს, რომელიც სხვა თემის წევრში კუჭის გასაძლამი მასალის მეტს ვერას ხედავს. საზოგადოებრივი გრძობა და სიმპატია ნელ-ნელა ცვლის ველურის ნერვიულ ორგანიზაციას ანუ ბუნებას, როგორც ჩვეულებრივად ამბობენ; ყოველგვარი სასარგებლო ცვლილება მემკვიდრეობით შთამომავლობას გადაეცემა ხოლმე, — ამის გამო დროთა განმავლობაში სიმპატია გადიქვა მრავალფეროვან ზნეობრივ გრძობათ, რომელშიაც მართო საკუთარი, პირადი სარგებლობის ძებნა სრული შეცდომაა. ცხოვრების განვითარებასთან ერთად ადამიანის აზროვნებას უბატონდება ეკონომიური პირობები, რომლებიც ბადავენ ამა თუ იმ ზნეობრივ იდეას. ზნეობრივი იდეები ვითარდებიან იმდენათ, რამდენათაც თვით ცხოვრება ვითარდება; მათი მემკვიდრეობით გადაცემით გაძლიერება შესაძლებელია, თუმცა მემკვიდრეობას აქ ისეთი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც ზნეობრივი გრძობების განვითარებაში, რადგანაც ის შეხედულება, რომელიც ერთ ეპოქაში ზნეობრივად ითვლება, ხშირად მეორეში დიდ უზნეობათ არის აღიარებული. გამოცდილება, ადამიანის ტვინში დაგროვილი ერთი ეპოქის განმავლობაში, მეორე ეპოქაში სრულებით ქრება სხვაგვარი გამოცდილების ზეგავლენით და ამიტომ მისი მემკვიდრეობით გადაცემა ფრიად სუსტია, თუ კაცობრიობის მთელ წარსულსა და აწმყოს მივიღებთ სახეში და არა ერთ რომელიმე ეპოქას. ზნეობრივი გრძობანი ერთი მხრით და მეორე მხრით ზნეობრივი იდეები ერთად წარმოადგენენ მას, რასაც ჩვეულებრივად ზნეობას უწოდებენ. მაშინ,

როდესაც ზნეობრივი გრძობანი ერთნაირად ეთვრება ბიან ყოველ ადამიანში, რა ნაირ საზოგადოებრივ პირობებშია ცხოვრობდეს ის, ზნეობრივი იდეების წარმოშობაზე ძალიან დიდი გავლენა აქვს იმ პირობებს, რომლებშიაც ადამიანი ცხოვრობს. უძველესი დროიდან საზოგადოებრივი თანასწორობა, რომელშიაც პირვანდებული ველური ცხოვრება, დაირღვა, მის ნაცვლათ აღორძინდა საზოგადოებრივი უთანასწორობა, — ნელ-ნელა განვითარდნენ სხვა-და-სხვა კლასები; რადგანაც ყოველი კლასის ეკონომიური მდგომარეობა და მასთან ერთად იურიდიული და პოლიტიკური სხვა-და-სხვა იყო, ამიტომ ყოველი კლასის ზნეობრივი იდეებიც სხვა-და-სხვა იყვნენ და დღესაც არიან; ხშირად ის, რაც ერთი კლასის წარმოდგენით ზნეობას არ ეწინააღმდეგება, მეორე კლასის თვალში დიდი უზნეობაა. ამ გარემოებას ცხოვრებაში ძალიან დიდ მნიშვნელობა აქვს და იმ მორალისტებს, რომლებიც დღევანდელი ცხოვრების ამალგებას ზნეობის შემწეობით ცდილობენ, ეს ყოველთვის შემჩნეველი რჩებათ.

ზნეობრივი იდეების მოტივს ყოველ დროს შეადგენდა და შეადგენს სარგებლობა კლასიური; უძველეს დროს კი, როდესაც კლასებათ ჯერ არ იყო ხალხი დაყოფილი, — თემური სარგებლობა: ველური თავისი თემის წევრს არას ავნებდა, ეხმარებოდა კიდევ, სხვა თემის წევრზე კი ისე ნადირობდა, როგორც გარეულ მხეცზე; დღევანდელ ევროპაში ერთი კლასის წევრი თავისი კლასის წევრს ხშირად ეხმარება და მეგობრულად უყურებს, ამავე დროს კი თავის ბედნიერებას მეორე კლასის წევრთა უბედურებაზე აშენებს. ჩვენ დავინახეთ აგრეთვე, რომ ზნეობრივი გრძობანიც პირად სარგებლობაზე აშენდნენ და თანდათან განვითარდნენ იმდენათ, რომ მთელი საზოგადოების სარგებლობა გაუხდათ მათ სარჩულათ და, უკვე კარგი ხანია, რაც ეს სარჩულიც ნელ-ნელა ფართოვდება და მთელი კაცობრიობის სარგებლობათ ხდება. ამასვე ვერ ვიტყვი ზნეობრივი იდეების შესახებ; ისინი ჯერჯერობით კლასიურ სარგებლობას ვერ გაცილებიან და მხოლოდ კლასთა გაუქმება ცხოვრებაში მიანიჭებს მათ ამ ფართო ნიადაგს, რომელსაც კაცობრიობის სარგებლობა ეწოდება. ხშირად ვხედავთ ისეთ მაგალითს, რომ ადამიანი თავისი ზნეობრივი გრძობის დაკმაყოფილებით თავის თავს კიდევ ავნებს, მაგრამ ასეთ იშვიათ შემთხვევებშიაც იმის ზნეობრივ მოქმედებას რომ სარგებლობა არ მოჰქონდეს ან საზოგადოებისათვის ან კერძო პირისათვის, შეუძლებელია. ამგვარათ, ზნეობის საფუძველს უსათუოთ სარგებლობა შეადგენს. როგორც თავში მოვხსენიეთ, ყოველგვარი მოქმედება, როდესაც ხშირად მეორდება რამოდენიმე შთამომავლობაში, შესაფერცვლილებას იწვევს ადამიანის ტვინშიაც, ეს ცვლილება მემკვიდრეობით შთამომავლობას გადაეცემა, ძლიერდება და აი სწორეთ ამაში მდგომარეობს ზნეობრივ გრძობათა განვითარებისა და ახალღების საიდუმლოება; ამიტომ დღევანდელ ადამიანს ხანდახან ამა თუ იმ ზნეობრივ მოქმედებას შეგნებული სარგებლობა კი არ აძლულებს, არამედ მემკვიდრეობით მიღებული მოთხოვნილება.

როგორც დავინახეთ, ზნეობრივ კითხვაში უტილიტარიანიზმი უტყუარ ქეშმარიტებათ უნდა მივიღოთ, მაგრამ ეს არ არის აღდგენა იმ მოძღვრებისა, რომელიც





მარქსმა დაჰკმო კაპიტალის პირველ ტომში. ძველი უტილიტარიანიზმი არის რაციონალური, ახალი კი ევოლიუციონური. რა განსხვავებაა ამათ შორის, ამას ჩვენ უკეთ დავინახავთ რაციონალური უტილიტარიანიზმის საუკეთესო წარმომადგენელთა მოკლეთ თვალის გადავლებით.

ამ მოძღვრების საუკეთესო მქადაგებელი იყვნენ ეპიკური, გობზის, გელვეცი და ბენტამი. ეპიკურის თვალში ამ ქვეყნათ ყოველისუფრი ზე მალლა სიამოვნებაა, თუმცა მას ხანმოკლე სიამოვნება არ მიაჩნდა ბედნიერებათ და სულიერ სიამოვნებას მალლა აყენებდა ხორციელზე. ყოველი ადამიანი ცდილობს ბედნიერი იყოს, მაშასადამე, სიამოვნება ყოველი ადამიანის მიზანს შეადგენს; საკუთარ სიამოვნებაზე აშენებული ბედნიერება ანუ საკუთარი სარგებლობა—აი ზნეობის საფუძველი ეპიკურის თვალში. ის, რაც ეპიკურმა მოკლეთ გამოთქვა, ევროპის ახალი დროის უტილიტარისტებმა განავითარეს. გობზის თვალში საკუთარი სიამოვნება შეადგენს ზნეობის საფუძველს, უფლების საფუძველს საკუთარი სარგებლობა და ყოველი ჩვენი მოქმედებისას საკუთარი ინტერესი. ადამიანის ზოგიერთ მოქმედებაში მაინც საკუთარ ინტერესს გარდა სხვა რამეც რომ ერიოს, ეს გობზს არა რწამდა და, ისეთი მოქმედების წარმოშობა, რომელიც არ იქნებოდა საკუთარი სარგებლობის ნაყოფი, გობზს სრულებით შეუძლებლათ მიიჩნდა. ეს ფილოსოფოსი, რომელმაც ასე კარგათ გამოიკნო ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფი ველურის ზნე-ხასიათი, თავისი თანამედროვე ადამიანის დაფასებაში ძალიან ცდებოდა, რადგანაც უცვლელათ გადიტანა მასზე იმ ველურის ბუნება, რომელიც მოძმისათვის მხოლოთ მგელს წარმოადგენდა, და აღიარა: ადამიანი საკუთარი ინტერესით ხელმძღვანელობს ყოველგვარ საქმეში და საკუთარი სარგებლობის მეტს არას ეძებსო. როგორ უნდა მოეწყოს მას ცხოვრება, რომ ერთმანეთის ინტერესთა წინააღმდეგობამ ერთიმეორეს არ ავნოს? გობზის აზრით, კერძო პირებმა ხელშეკრულება უნდა დადონ და თავისი უფლებანი გადაცენ ერთ პირს, მონარქს, რომელიც განუსაზღვრელათ უნდა აწესრიგებდეს ყველას მოქმედებას; ამგვარათ წარმოდგა საზოგადოებრივი ცხოვრება ამ ფილოსოფოსის მოძღვრებით. ამასვე ქადაგებდა გელვეცი. მისი აზრით, კერძო ადამიანი თავის ყოველგვარ მოქმედებაში მხოლოთ საკუთარი სარგებლობით ხელმძღვანელობს, ამგვარათვე იქცევა მთელი საზოგადოებაც; ამიტომ კერძო პირისა და საზოგადოების ინტერესები ხშირათ ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. რამ უნდა მოსპოს ასეთი წინააღმდეგობა? კანონმდებლობამ. კანონმდებლობამ ისე უნდა ალაგმოს ადამიანის ეგოიზმი, რომ ყოველი ადამიანი იძულებული იყოს, თავისი მოქმედებით საზოგადოებასაც სარგებლობა მოუტანოს და არა ზარალი. ამგვარათ გელვეცი ზნეობის საფუძველათ კანონმდებლობას აღიარებდა; მისი აზრით ზნეობრივი საქმის ჩადენა ადამიანს არ შეუძლია, რადგანაც ის მხოლოთ საკუთარი სარგებლობით ხელმძღვანელობს; ამიტომ ზნეობრივი მოქმედება მას მხოლოთ კანონმდებლობამ უნდა აიძულოს, რომ საზოგადო კეთილდღეობა არ დაირღვეს. ბენტამის თვალშიაც ადამიანი მხოლოთ ეგოისტია, ის მხოლოთ საკუთარი ინტერესით ხელმძღვანელობს; «ერთი ადამიანი მეორისათვის თითსაც კი არ გაანძრევს, თუ ამაში საკუთარ სარგებ-

ლობას არ ხედავს». აქედან თავის თავათ გამომდინარეობს ის მოსაზრება, რომ შეიძლება კერძო პირის ინტერესები და საზოგადოებისა ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ; მაგრამ ბენტამი ასეთ წინააღმდეგობას უარყოფდა და ამტკიცებდა: კერძო და საზოგადო ინტერესთა შორის ბუნებრივი ჰარმონია არსებობსო. თავის საუცხოვო წიგნში «La morale anglaise contemporaine» გიუიო ამტკიცებს: ბენტამი მამამთავარი იყო იმ მორალისა, რომელსაც ინგლისის სკოლა აღიარებსო, მაგრამ ეს მცირეოდნათ თუ მართალია მილის შესახებ, რომლის მორალსაც ბენტამის დიდი გავლენა ეტყობა, სამაგიეროთ მთელი სკოლის შესახებ დიდ, შეცდომათ: ბენტამის მორალი და ინგლისის სკოლის მორალი სრულებით სხვადასხვაა და მათ შორის არის მხოლოთ ერთი მზგავსება, რომელზედაც ქვემოთ მივუთითებთ მკითხველს. როგორც მკითხველი ხედავს, ბენტამზე დიდი გავლენა იქონია მისი დროის ეკონომიურმა მოძღვრებამ; ძირითად საფუძველს ისეთი ეკონომისტების მოძღვრებისას, როგორც იყვნენ ჟანბატისტ სეი, სისმონდი, ბასტია და სხვები, ყველას ინტერესთა შორის ბუნებრივი ჰარმონიის არსებობა შეადგენს; მიეცით კერძო პირთა ინტერესებს თავისუფალი გზა და ისინი თვითონ შეთანხმდებიან ერთმანეთშიო. *Laissez faire, laissez passer*—აი შესანიშნავი ფორმულა, რომელიც საუცხოვოთ ახასიათებს წარსული საუკუნის დასაწყისის ეკონომისტთა რწმენა-შეხედულებას. ასეთ შეხედულებას დაემორჩილა ბენტამიც და ზნეობრივ კითხვაში ნამდვილი ფრიტრედერი გახდა. ფრიტრედერები ქადაგებდენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში შრომისა და კაპიტალის სოლიდარობას—ანუ თანხმობას; ბენტამმაც ზნეობაში აღიარა კერძო ინტერესთა და საზოგადო ინტერესთა შორის სრული თანხმობა,—რაც სრულებით შემცდარი აღმოჩნდა.

როდესაც ამგვარათ თვალს გადაავლებთ გობზის, ბენტამისა და გელვეცის ზნეობრივ მოძღვრებას, დაინახავთ, რომ ყველა ისინი თავისი ქადაგებით: ადამიანი ყოველგვარ მოქმედებაში მხოლოთ საკუთარი სარგებლობით ხელმძღვანელობსო, რაღაც მოჯადოებულ რკალში მოემწყვდენ; თუ კი ყველა მარტო თავისი სარგებლობით ხელმძღვანელობს, რა ნაირათლა შეიძლება საზოგადოებრივი ცხოვრების არსებობა,—აი ეს მოჯადოებული რკალი. აქედან გობზის გამოვიდა კერძო პირთა უფლებების გადაცემით განუსაზღვრელი მონარქის ხელში, გელვეცი კანონმდებლობის მიერ ცხოვრების ისე მოწყობით, რომ ერთ ადამიანს მეორისათვის ზარალის მიყენება აღარ შეეძლოს; ბენტამმა კი პირდაპირ გამოაცხადა: მე მოჯადოებულ რკალში არ გვეგონათ, საზოგადო და კერძო ინტერესთა შორის სრული ჰარმონია სუფევსო. როგორც გობზმა, ისე გელვეციმ და ბენტამმა სწორ გზას მიაგნეს, მაგრამ ამ გზით სიარული ვერ შეძლეს, რადგანაც ევოლიუციის იღვას მოკლებული იყვნენ. ისინი მართალი იყვნენ, როდესაც ამბობდენ: ბუნებრივ მდგომარეობაში ადამიანი მხოლოთ საკუთარი სარგებლობით ხელმძღვანელობსო, მაგრამ სამაგიეროთ დიდათ ცდებოდენ, როდესაც უარყოფდენ ადამიანის ზნეობრივით განვითარებას და ამტკიცებდენ: ადამიანი დღესაც თითსაც კი არ გაანძრევს, თუ ამაში თავის საკუთარ სარგებლობას არ ხედავსო. აქედან მკითხველი თვითონ ხედავს, თუ რა მზგავსებაა ამ უტილიტა-



რიანიზმისა და ევოლუციონური უტილიტარიზმის შორის და რა განსხვავება. ევოლუციონური უტილიტარიზმი გობსთან და ბენტამთან ერთად აღიარებს, რომ ადამიანი განვითარების უქდაბლეს საფეხურზე ხელომძღვანელობდა მხოლოდ პირადი სარგებლობით, — ხოლო ამ ორ მოძღვრებათა შორის ის ძირითადი განსხვავებაა, რომ ერთი მოკლებულია განვითარების იდეას, მეორე კი მთლიანად ევოლუციონიზმზე არის აშენებული. უკანასკნელი მოძღვრების აზრით ევლურ ადამიანში საზოგადოებრივმა ცხოვრებამ წარმოშობა საზოგადოებრივი გრძობა და სიმპატია, სიმპატია ნელ-ნელა გადიქცა მრავალგვარ ზნეობრივ გრძობათ, რომელიც მემკვიდრეობის წყალობით შეუჩერებლად ვითარდება... ეკონომიურმა პირობებმა წარმოშობეს სხვა-და-სხვა ზნეობრივი იდეები და ამგვარათ თვით საზოგადოებრივი ცხოვრებიდან იშვა ზნეობა; ის თავდაპირველად პირად სარგებლობაზე აშენდა, მაგრამ ეს საძირკველი განვითარების წყალობით თანდათან ფართოვდება და ახლაც ზნეობის ზოგიერთ მხარეში პირადი სარგებლობის ნიშნები სრულებით წაიშალენ და მისი ალაგი დაიჭირეს კლასსიურმა სარგებლობამ და მთელი კაცობრიობის ანუ საზოგადოთ ადამიანის სარგებლობამ, რომელ ერს და რომელ კლასსაც უნდა ეკუთვნოდეს ეს ადამიანი. ზნეობის განვითარება შეუჩერებლად მიდის წინ და მოვა ისეთი დრო, როდესაც მოძმისადმი სიყვარული, თანაგრძნობა, დახმარება, გატანა და სხვ. ადამიანის ისეთ ბუნებრივ მოთხოვნილებათვე გადიქცევა, როგორც მაგალითათ საზრდობა და სუნთქვა. ბენტამის უტილიტარიზმი სრულებით ვერ ავიხსნით ზნეობის ისეთ სიდიადეს, როდესაც კერძო ადამიანი თავისი ნებით, ძალდაუტანებლად თავს წირავს ან მოძმეს, ან საზოგადოებას, მაშინ როდესაც ევოლუციონური უტილიტარიზმით ეს ადვილი ასახსნელია.

ი. გომართელი.

(შეძლევი იქნება).

**წარილი ბრიუსელიდან.**

დადგა შემოდგომა და ბრიუსელშიც იცვალა ფერი. ზაფხულის სიხვედრისაგან მიწყნარებული და მიჩუმებული ცხოვრება გამოთხიზლდა, გაცხოველდა. სააგარაკოთ გაფანტული ხალხი ტალღასავით მოაწყდა ყოველი მხრიდან; საზოგადო თუ კერძო დაწესებულებათ აატრიალეს ჩარხი. ატყდა ჩვეულებრივი ყრამული და ორონტრიალი. დიან, ქალაქი ამოძრავდა მთელი თავისი არსებით და იწყო ცახცახა, თრთოლა, რომლის შინაარსია გაუთავებელი საქმიანობა, დაუსრულებელი შრომა და ყველა ამასთან შეერთებული ცელქი—ზოგჯერ ძალიან ფანტასტიური—სიამოვნება და ცხოველი ზრუნვა, სიცოცხლის მომშხამავი ზრუნვა და ეჭვი სახვალიო ლუკმა პურისთვის. ბუნებას მოწონს თუ არა თანამედროვე ქალაქი—ამისი რა მოგახსენოთ, ხოლო დადგა თუ არა შემოდგომა, მან ბრიუსელს გვირგვინათ დაადგა სვედასავით ჩამობნელებული, მოღრუბლული ცა, რომელიც წამდაუწყებელი იქნა ქლდება და იცრემლიება, ხანაც ღაპა-ღუპით აფრქვევს ცრემლებს (სიხარულის თუ მწუხარების, არ ვიცით).

შემოდგომის გამოთხიზლება ბრიუსელს პირველად სათეატრო ხელოვნებამ ამცნო. ადგილობრივ ჩინებულ მსახიობთ გვერდში ამოუდგენ უცხოეთიდან მოსული არ-

ტისტები. და როცა სათეატრო ხელოვნება თავის ყოველთესო წარმომადგენელთა მეოხებით საზოგადოებას უხვად უძღვნიდა უაღრეს ესტეტიურ სიამოვნებას, სახალხო სახლში იკრიბებოდენ და თათბირობდენ იმის შესახებ, თუ როგორ დახმარებოდენ თავიანთ უსაქმოდ დარჩენილ ამხანაგებს, რა გზით, რა საშუალებით უზრუნველ ეყოთ იგინი სიმშლიისაგან \*).

ქალაქს გაცოცხლებას, რასაკვირველია, უკან არ ჩამორჩებოდა პრესაც. მით უფრო, რომ ხშირათ იგი ცხოვრების „წინა-მასწარაც“ კია. პრესის განსაკუთრებით იმ ნაწილს, რომელიც მოუხვენრათ ეძებს სენსაციონურ ამბებს, გაუთავებელი მასალა მისცა ამერიკის პრეზიდენტის მკვლელობამ. ერთი ლიბერალური გაზეთი აღნიშნავდა—რა დიბლომატიური წრეების გამოხმობას, ვითომ მთავრობათ აზრათა ჰქონდეს საერთაშორისო ზომები მიიღოს ანარქიზმის წინააღმდეგ, ასე განაგრძობდა: ანარქიზმის წინააღმდეგ თანამედროვე საზოგადოება თითქმის უღონოა; ნაცადია თითქმის ყველა ზომები, მარა ანარქიზმი მანაც განაგრძობს თვის ბოროტ-მოქმედებას; რეპრესიულ ზომებს, ანარქისტულ პროპაგანდის აკრძალვას მხოლოდ ენება შეუძლია მოიტანოს, რადგან აშკარაა, სინათლეზე მყოფ მტერთან უფრო ადვილია ბრძოლა, ვინემ დაფარულთან; ერთათ ერთი საშუალება მათ წინააღმდეგ ისლა დაგვიჩინა, რომ ისინი დავიწყებას მივცეთ, ნაკლებ ვიზმალროთ, ჩამოვხსნათ მათ გმირობის შარავნდელი და დაეახნოთ შემოილ-გადარეულ ავაზაკებათ. სოციალისტური პრესა, რომელიც, რასაკვირველია, დიდი წინააღმდეგია ანარქისტული მოქმედებისა, პრეზიდენტის მკვლელობას აღნიშნავდა, როგორც თანამედროვე ცხოვრების ერთ მეტათ სამწუხარო მოვლენათაგანს, რასაც ღრმა სოციალური მიზეზები აქვს.

ამოძრავდენ აგრეთვე პოლიტიკური პარტიებიც. პირველათ ხმა აღამალდა „სახალხო სკოლების დამცველმა კომიტეტმა“. კომიტეტმა გამოსცა მანიფესტი, სადაც მოაგონა მშობლებს: შარშან განთავისუფლებულ იქმნა საღმრთო წერილის გაცვეთილებიდან მოსწავლეთა მხოლოდ 81% და საჭიროა დანარჩენების განთავისუფლება; მოუწოდებს კომუნალურ გამგეობათ (მუნიციპალიტეტებს) ფართოთ ისარგებლონ თვისი უფლებებით სახალხო სკოლებში კლერიკალების გავლენის ასაცილებლათ; გულ-დასმით შეარჩიონ სახელომძღვანელოები, რომ არ შეეპაროთ საეჭვო წიგნი, რადგან კლერიკალებისაგან აუარებელი სახელომძღვანელოებია გამოცემული, აგრეთვე არ შეუშვან სკოლაში კლერიკალების თანამოაზრე ანუ რამოდენათმე მოძრე მასწავლებელი.

ასეთი ძიხნით კომიტეტმა მოახდინა ბრიუსელში დიდი მიტინგი. ორატორებათ იყვენ სხვათა შორის სოციალისტ ქალთა მეთაური ქ-ნი გატი დე გამონი, მუშათა პარტიის ცნობილი მოღვაწენი ვიქტორ სერეი, დელაორტი და სხვ. ერთმა ორატორმა მიმართა კრებას: კვლავ უნდა

\*) ამ უამათ ბელგიის მრეწველობაში კრიზისია, განსაკუთრებით გენტის დითონის წარმოებაში, რისთვისაც მრავალი დარჩა უსაქმოდ. ამათგან რამოდენსავე ეხმარებიან მუშათა სინდიკატები. — შემწეობას აძლევს აგრეთვე ქალაქის გამგეობაც. მუშები თხოვლობენ შემწეობის მომატებას და როგორც უმთავრეს საშუალებას — სამუშაო დროს შემცირებას, უკანასკნელ აზრს ემხრობა თვით გენტის დასახელებული წარმოებას დირექტორი.





გაგახსენოთ, რომ თუ ჩვენ ბრძოლას ვუცხადებთ კლერიკალიზმს, ამით სრულებითაც არ ვეწინააღმდეგებით სარწმუნოებას, არა, ჩვენ ველტვით მართა სინდისის სრულ თავისუფლებას, ჩვენ ვამბობთ მხოლოდ: სარწმუნოება ეკლესიას, ხოლო სკოლა კი მეცნიერებას...

საქმეში ჩაერთა თვით ბრიუსელის ბურგომისტრი (ქალაქის თავი). მან ცირკულიარი დაუგზავნა მშობლებს, სადაც წინადადება აქვთ: უკეთუ მოისურვებთ ისარგებლოთ 95 წლის კანონით, რათა თქვენი შვილები განთავისუფლებულ იქმნან საღმრთო წერილის გავლენიდან, საკმაოა ხელი მოაწეროთ თხოვნის ბლანკს—რასაც ამ წერილთანავე მიიღებთ—და გაგზავნოთ სათანადო დანაწესებულებაში.

ასეთი დაუცხრომელი ბრძოლა კლერიკალიზმის წინააღმდეგ აიხსნება იმით, რომ იგი საგრძნობელ ძალას წარმოადგენს ბელგიაში. კლერიკალები, გარდა იმისა, რომ სათავეში უდგანან მთავრობას, ღონივრათ არიან ეკონომიურათ—რაც თავისთავით ცხადია,—მრავალნი არიან რიცხვითაც და არამც თუ არ აპირებენ შემცირებას, კიდევ მატულობენ. აი, მაგ., ორიოდე ციფრი ბერ-მონასტრების შესახებ. „თავისუფალ მოაზრე საზოგადოებათა ნაციონალურ ფედერაციისაგან“ ამ მოკლე ხანში გამოქვეყნებულ სტატისტიკური ცნობებიდან ეტყობილობთ, სხვათა შორის: მთელ ბელგიაში ყოფილა 1880 წელს 1,559 მონასტერი; ბერები და მოლოზნები—25,462, აქედან 3,895 უცხოელი; 1890 წ.—მონასტერი 1,793, ბერ-მოლოზნები 30,098; 1900 წ.—მონასტერი 2,221, ბერ-მოლოზნები 37,684, ამათში უცხოელი 6,913. საერთოდ საკმაოდ დიდ პროცენტს შეადგენენ დედათა მონასტრები და მოლოზანი დედანი.

ხედმატათ, ამ ბოლო ხანებში საფრანგეთიდან გამოჩვეული იფიქტების კონგრეგაციების უმეტესი ნაწილი აქეთკენ მოეშურება, როგორც აღთქმულ ქვეყანაში, ყიდულობენ დიდძალ მამულებს და არხეინათ ესახლებიან. აღვიღო ბრივი ოპოზიციონური პრესა ამ «შავთა შემოსევას»—როგორც აქ უძახიან—ბელგიისათვის საუბედურო მოვლენათა თვლის. ზოგიერთი გახეივები ირწმუნებიან, ვითომ ბელგიის მთავრობა ხელსაც უწყობდეს ამ კონგრეგაციების აქ ჩათესლებას, აძლევდეს დაკლებულ სარკინისგზო: ტარიფს და სხ.

(დასასრული იქნება)

**მცირე უბნის შესახებ.**

ბ-ნი არჩილ ჯორჯაძე თავის მოწინავე სტატიაში „მთარგმნელთა საზოგადოება“ („სტ. ფურც.“ № 1601) შეეხა ძალიან საინტერესო საგანს. ასე ამბობს: «თუ მართლა დამწიფდა ჩვენში ის აზრი, რომ ჩვენს ხალხს და საზოგადოებას უნდა მივაწოდოთ შესაფერი გონებრივი საზრდო და თუ ამ აზრის განხორციელებისთვის კარგი წიგნების თარგმნა მიგუჟანია საუკეთესო იარაღთ, აუცილებლათ საჭიროა დღესვე შევუდგეთ ამ საქმესო“. მერე მოყავს თავისი გეგმა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს მთარგმნელთა საზოგადოებამ. უსათუოთ ჩვენმა საზოგადოებამ კარგა ხანია დაინახა საჭიროთ, რომ ხალხს მიაწოდოს გონების განსავითარებლათ შესაფერი საზრდო, რადგან ჯერ კიდევ 1894 წ. შედგა პატარა წრე ევროპ

წოდებული „ორშაბათისა“, რომელიც ბევრი ბაასის და მსჯელობის შემდეგ დაადგა სწორეთ იმ გეგმას, რომელიც ახლა მოყავს ახალ ამბათ ბ-ნი ჯორჯაძეს და ორისამი წელიწადი ცდილობდა კიდევ ამ გეგმის პრაქტიკულათ განხორციელებას.

უსათუოთ ბ. ჯორჯაძე არ დასწრებია ჩვენი წრის კრებებზე და არც ცოდნია, რომ წრეს სარედაქციო კომისიაც ყავდა, განყოფილებაც ქ. ქუთაისში, ფულის შემკრევი კომისიაც და შვიდ-რვა სახალხო წიგნაკიც გამოსცა.

გარდა მაგისა კიდევ სხვა წრე მთარგმნელთა საზოგადოებისა არსებობდა, რომელნიც აწოდებდნ საზოგადოებას სამეცნიერო წიგნაკებს, იმათაც რამდენიმე წიგნი გამოცეს.

ახლაც, ეს სამი წელიწადია, არსებობს კიდევ პატარა წრე საყმაწვილო წიგნების გამოსაცემათ, თუმცა ამ სამ წელიწადში ჯერ არც ერთი წიგნი მათ არ დაუბეჭდიათ.

თუ ამ მთარგმნელთა წრეებმა არ იხეირეს, ამის მიზეზი, ჩემი აზრით, ორია: 1) მომკშავეთა მცირეოდენობა. სანამ საჭირო იყო გეგმის შედგენა ყველა ხალხით ეკიდებოდა და როდესაც გეგმის განხორციელებას შეუდგნ მომუშავენი არ გამოჩნდნენ. 2) უთანხმოება, ერთმანერთთან შეუთრებლობა. ეს სენი არის მხოლოდ ჩვენი განუვითარებლობის მიზეზი.

ანასტასია წერეთლისა.

**ზროტექციონისმი, ანუ ძეგარველობითი სისტემა.**

(დასასრული. - იხ. № 40).

მესამე ანგუქტი, რომელიც მოყავთ ზროტექციონისტებს, შედგება: ბაჟი სელს უშდას-ჩა სასკლშიფოლან დაუ-მუშავებელი მასაღის გატანას, უკანვე უბრუნებს მიწას დაღას. გამოჩენილმა მეცნიერმა ლიბისმა დაამტკიცა, რომ ის კრი, რომელიც გზავნის საზღვარგარეთ სობრლეულობას, მით მიწის დაღასაც ატანს თან; სამაგეოროთ, მას საზღვარგარეთიდან შემოაქვს ფაბრიკატები, რომლებიც, რასაკვირველია, მიწის სასუქათ არ გამოდგებიანო.

აი რას ამბობს ამის შესახებ რუსეთის ეკონომისტი ივანიუკოვი: «სობრლეულობის გატანა მართა მისინ ატლის მამუღს დაღას და ცვეთავს მას, როდესაც მიწას აღარ უბრუნდება სინოცივრე სასუქის სახით. ეს გი დამოკადებუღია იმასე, თუ რამდენათ შეძლებუღნი არიან მკვიდრი, და საკმაოთ უავთ საქონელი თუ არა<sup>1</sup>). იგივე მეცნიერი ამბობს: „ზროტექციონისმი უფრო მანებუღია იმ სასკლშიფოსთვის, სადაც უკვე მოუკადებია ფესი მრეწველობის სასვად-სხვა დარგს. ამისთანა მსარეში აღნიშნული სასტემა შემდეგ ცველიღას ასდენს: თუ ბაჟი მეტათ დიღია და საღია დარგი მრეწველობისა კარგ დივიდენდს შიღება კაპიტალისტი, მაშინ იგი დაუოკუნებუღ უტვდეს ალაგს თავის კაპიტალს, — გადაიტანს მას უფრო მოსაკებ წამოკებაში; თუ კაპიტალი ვერ წვდება მრეწველობას, მაშინ ბოლო მოკება ყველა იმ მრეწველობის დარგებს, რომლებიც ძეგარველობის ქვეშ არ არიან. ამ შემთხვევაში კარგ მამუღი დაისკენებს, რადგანაც მრეწველობამ ვერ გათავისუფლა მიწის მუშათა მცირეოდენი ნაწილი მაინც და მრეწველობაც დაუკება; სასკლშიფოს მო-

<sup>1</sup>) Иванюковъ. Политич. экон., გვ. 384.



წება უცხოეთიდან ეყვალა ის საქონელი, რომლის დამუშავებაც მოვარეულობის ქვეშ იყო და ველარ გაუწია მეტოქეობა გარეშე ბაზრის ფაბრიკანტებს<sup>2)</sup>». აი ასეთ მდგომარეობაშია დღეს რუსეთი.

4) დაგვიჩვენა ვაჭარნი კიდევ ერთი საბუთი. პროტექციონიზმი ბადავს-რამდენიმე მრეწველობას, აღორძინებს ქალაქებს, სადაც უფრო ნაკლებად იზრდება კულტურა და ხალხის ახრი უფრო ინტენსიურად მუშაობს. რომ ქალაქები განათლების ზრდას სულს უწყობენ და კაცის სულიერ ცხოვრებაში უფრო მეტი სინდრესლე შეაქვთ, ეს სრული ჰუმანიტარია, მაგრამ, როგორც დავინახეთ, მოვარეულობითი ტარიფი ვერაფერი თავდადება მრეწველობის ზრდასა!.. გარდა ამისა, კონომიურმა ცხოვრებამ, რკინის გზების გამარჯვებამ იმდენად დაუხსლოვა ქალაქი სოფელს, რომ მათში დიდი გარეგანად აღარ არის, და რაც დრო გავა, ისინი უფრო მკიდრით დაუხსლოვდებიან ერთმანეთს. აი, ეყვალა ის საბუთები, რომლებიც მოყავთ პროტექციონისტებს.

ენგელსი, ესება რა პროტექციონიზმს, ამბობს: «დარწმუნებული ვარ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ათი წლის შემდეგ დაამარცხებენ ინგლისს მსოფლიო ბაზარზე, თუ ეს სასულეშიყო თავისუფალ ვაჭრობას შემოიღებენ<sup>3)</sup>».

არც «კაპიტალის» ავტორია პროტექციონიზმის მომხრე, როგორც ეს ჩანს ბრაუნსელში მისი წარმოთქმული სიტყვიდან, 1847 წ. «თუღონა—ამბობს იგი—პროტექციონიზმიც და თავისუფალი ვაჭრობაც მუშა ხალხის კესპლატაციას ემსახურებინ, მაგრამ მათი ინტერესები უფრო კაპიტალისტურ წესწეობილებაში მდგომარეობს, ამას კი თავისუფალი ვაჭრობა ემსახურება<sup>4)</sup>».

ასეა ვალაზარყოთ ციფრები, რომლებსაც, სხვა საჭიროება მოითხოვს, განმარტავთ. ამისთვის მე ვისარგებლებ კოკლეკსიის წიგნით «Покровительственная пошлина, что она дает населению и что у него берет» და რადცივის წიგნებით: «Железнодорожная промышленность всего сьвта» და «Экономические этюды».

წელი	შეკრ. შტატებში	რუსეთში.
1846 წ.	1 მ. 92 კ.	2 მ. 36 კ.
1850	1 — 24	2 — 24
1860	1 — 22	3 — 60
1870	1 — 64	3 — —
1880	1 — 26	3 — 50
1890	— 96	3 — 90
1895	— 62	4 — 40

აქედან აშკარათ ჩანს, რომ ამერიკაში რკინის ფასი კლებულობს, რუსეთში-კი, პროტექციონიზმის წყალობით, პროგრესიულად მატულობს, ასე რომ 2—5 ჯერ რუსეთის რკინის ფასი აღემატა ამერიკისას. ფოლადის რელსები ამერიკაში ფასობდნენ (უნდა ვიცოდეთ. რომ რკინა და თუჯი რუსეთში მოვარეულობის ქვეშ არიან):

1870 წ.	70—80 კ.)	სასულეშიყო გადასახადი
1890 —	37—40 კ.)	16, 3 კ.

ამავე დროს რუსეთში მარტო სასულეშიყო გადასახადი უდრდა 75 კ., ასე რომ 1890 წ. რელსები ფასობდნენ 1 მ.

<sup>2)</sup> იქვე, გვ. 385,

<sup>3)</sup> Жизнь 1901 г. ტომი II გვ. 19.

<sup>4)</sup> იქვე.

80 კ. როდესაც მთავრობა დაემუქრა ფაბრიკანტებს რელსების უცხოეთიდან შემოტანას, მაშინ მათ ცოტა დაწვეს ფასები 1 მ. 18 კ. ამასთანვე უნდა შეენიშნოთ, რომ რუსეთის რელსები ძლებენ 10 წელიწადს, საფრანგეთისა კი (აქიდანაც შემოაქვთ) 20 წ. ამის მიზეზი იგივე პროტექციონიზმია.

შეჩარი რაფინადი (დასუფთავებული) ფასობდა:

1888 წ.	ფუთი	4 მ. 22 კ.)	აქციონი
1890 —	—	4 — 40 —)	1 მ. 50 კ.
1892 —	—	4 — 67 —)	
1894 —	—	5 — 95 —)	1 მ. 75 კ.

დაემუშავებელი შეჩარი უკლებოდათ ფაბრიკანტებს, უაქციონოთ, 2 მ. 20 კ. რაფინადი—3 მ. რომ ვინაგარიშოთ აქციონი, მასალის დამუშავება, კაპიტალის სარგებელი კიდევ ფუთ შეჩარზე 60 კ. მეტი მოხდით ფაბრიკანტებს; ეყვალა ეს მეტი საჭირო-კი მომხმარებლებს აწებათ კისერზე. თუ რამდენად შეიძლება, პროტექციონიზმის წყალობით, ჩვენში შეჩარი, შეგვიძლია გავიგოთ შემდეგი ფაქტის გათვალისწინებით. რუსეთის შეჩარი სპარსეთში გირკანქობით იყიდება 7 კ., ინგლისში კი გირკანქა 4 კ. ამის გამო ამბობენ, რომ რუსეთის შეჩარით ინგლისელები ღობებს ასუქებენ. ამის მიზეზი ის გასლავთ, რომ მთავრობა ფაბრიკანტს, სამსლვარ გარეთ შეჩარის გატანის დროს, უბრუნებს აქციონს და შირ-აქით ფუთზე 80 კ. აძლევს. რასაკვირველია, ფაბრიკანტები სხვა სასულეშიყოებში შეჩარს გაცილებათ იაფად გაყიდაინ. ასეთი წესი იწვევს კონტრბანდას, რომელთანაც საბომოლეველათ მთავრობა ბაჟის 7% სარკავს. თითო მისმარებელზე რომ ვინაგარიშოთ ორთა-შუა რიცხვით 10 კ. რომელსაც უოკელი ჩვენგანი სულ უბრალოთ აძლევს შეჩარში ფაბრიკანტს, ეს რიცხვი წელიწადში შეადგენს საკმაოთ დიდ ჯამს—12 მილიონ მან. ამას უნდა მივათავლოთ აქციონი, რომელიც უკან უბრუნდებათ ფაბრიკანტებს, და მივიღებთ 13 მილიონ მანეთს. ამ რიგათ რუსეთის მომხმარებელი წელიწადში კარგავს მარტო შეჩარზე 13 მილიონ მანეთს, ამას რომ სხვა საქონელზე ცუდ-უბრალოთ მეტათ დასარკული ფული მიეუმატოთ, მაშინ მივიღებთ 200 მილიონ მანათს.

რუსეთის სასლვარ-გარეთიდან რომ შემოქანდეს რელსები, რკინის ჭზის სიგზე 50% მეტი იქნებოდა, ვიდრე ასეა არის. 1884 წ.—95 წლამდის რუსეთს მოუსმარება 113 მილ. ფუთი რელსი, დამზადებული საკუთარ ქარსებში; მისი უიღვა ინგლისში მთავრობას შეანახინებდა 92 მილ. მანეთს; ამ ჯამს რომ მიუმატოთ პრომიები, რომლებიც მიეცათ ფაბრიკანტებს წასაქვებლათ, მაშინ მივიღებთ 100 მილ. მან. ამ ფულით გაკეთდებოდა კიდევ 2000 კმ-ის რკინის გზა, რაც საკმაო სამუშაოს გაუჩენდა მუშა ხალხს. (რადცივი).—მეურნეები სპარსლათ უჩივიან რუსეთში დამუშავებულ რკინეულობას, რომელიც მეტათ ჩქარა ფუქდება. ესეც, რასაკვირველია პროტექციონიზმის ბზადა.

ინგლისში ერთი ფუთი ბამბის დამუშავება მიტკლათ ღირს — 8 მ., — რუსეთში—12 მ., მისი შეღებვა ინგლისში ღირს 90 კ., რუსეთში კი 2 მ. 80 კ. ამ რიგათ, მარტო მიტკლის ჩითათ დამუშავება რუსეთში მოითხოვს 1 მ. 50 კ. მეტ სარკვს, რაც, კლკი არ არის, აწება მეტ ტვირთათ ისეც კონომიურათ დამაბუნებულ მშრომელ ხალხს. რუსეთის ხალხმა 15-ჯერ მეტი უნდა იმუშაოს, რომ ინგლისელი მუშის ტოლად რკინა შეიძინოს, 4-ჯერ მეტი, რომ ჩითის პურანგი ჩაიჭვას და 5-ჯერაც, — რომ ინგლისელისთანა დაშქრული ჩიი (ყავა?) დაღარს. სხვა-და-სხვა მიზეზებთან ერთათ ეს მიზე-





ზიც ძირს უთხრის რუსეთის ხალხის კონომიურ ცხოვრებას. მატერიალური დაჭედილობა კი იწვევს სულიერ დაცმა-გათათნის რისკს; სიმდიდრე ხელს უწყობს განათლების გარეგნულ ბაზს, ხოლო უგანასწაველი კი იწვევს სიმდიდრის ზრდას.

ამნიანათ, როგორც დღეს რუსეთში პროტექციონიზმი მკენებელია ანა მართა ხალხის უმკაცრობისთვის, რომელთა მრეწველობა-მეურნეობის ინტერესებისთვის, რადგანაც მათ აცდის ერთ საუკეთესო იარაღს წინ წაწვეისთვის, ე. ი. მეტოქეობას სხვა ქვეყნების კაპიტალისტებთან.

ნ. ახმეტელაშვილი.

სოფლის მასწავლებელთა ვისახება.

«კვალის» 36 №-ში ბ. გ. გიუნაშვილის შენიშვნა მითხრობს; ავტორი გვამხატვრობს მასწავლებელთა დამცირებას და აბრუნებს გატყუებას ხალხის თვალში. „დიდი გამოცდილება და ცოდნა-ხეობა მართებს მასწავლებელს, რომ შეიძლოს ისე დაიჭიროს თავი, რომ (!) ხალხში შესაფერი პატივისცემა დაიმსახუროს, მათზე ვაკლენა იქონიოსო“, — ბრძანებს ბ. გიუნაშვილი, ხოლო იმას კი არ უგვირდებს, თუ რა გონებრივ და ზნეობრივ სიღრმეებს წარმოადგენს დღევანდელ მასწავლებელთა დიდი უმკაცრობა და რა ხელსაყრელია ასეთ უფიც და უხელო მასწავლებლებმა რომ დაბალ ხალხს ვაკლენა იქონიონ!! ბ. გიუნაშვილი მასწავლებელთა აბუნათ აცდების უმთავრეს მიზეზს; ჩინოფიკების ძალმომრეობაში ხედავს, რომელნიც თურმე მასწავლებლებს თავიანთ სურვილისამებრ ატრიალებენ... მაგრამ, ჩვენ ეს ჩინოფიკები მასწავლებელთა დამცირების და აბუნათ აცდების უმთავრეს მიზეზათ კი არა, სრულიად უმნიშვნელოთ მიგვაჩნია ამ შემთხვევაში. ისეთი მასწავლებელი, რომელიც გონებრივ და ზნეობრივ ძალით შეიარაღებული, ხალხს ნამდვილს და ერთგულ მეგობრებას გაუწყვეს, თავის დღეში ისე არ დამცირდება, რომ ის ხალხმა აბუნათ აიგდოს და მეტადრე მამინ, როცა მას რომელიმე მოსულე ამცირებს. ხალხმა უკვე იცის თუ რა ზნეობის და ცოდნის პატრონი ბრძანდებიან მოსულენი. ხალხს თუ მასწავლებელი პატრონი და საყვარელ-სასარგებლო კაცთ მიხნია და რწამს მისი ცოდნის და ზნეობის სიდიადე, განა ვინმე მხეცმას და უსამართლო ბრძმა, რომ ეს ხალხის საყვარელი მასწავლებელი აბუნათ აიგდოს, ამით ხალხი მასწავლებელს შეიძლებს? წინააღმდეგ: თუ ხალხი ხედავს, რომ მასწავლებელი გონება-ზნეობით და უოკულები პატრონი სოფლისთვის სასარგებლო და ძვირფასი კაცია, და თუ ვინმე მხეცმას ეს ძვირფასი კაცი სოფელს გაუღანძღა, ამით ხალხი საყვარელ მასწავლებელს კი არ შეიძლებს და აბუნათ კი არ აიგდებს, არამედ იმ უსამართლოთ გამღანძღველ კაცს. და თუ ეს მასწავლებელთა გამოსარჩლება არ ხდება, ამის მიზეზი თვით მასწავლებლებია. ხალხმა შეიძლება მასწავლებლები და ეს იმეტომ, რომ მათში უხეობას ხედავს მასწავლებლები გამომართვინდენ ჩინ-ეპოლეტიებით და ურწხლ-კაცუბებში ქებით, რამაც რამდენიმეთ საზოგადოებას გაიტაცა. ამ გვართა გაამყებულნი „ქვეყნის მართლი“ გამოიჭიმენ თავიანთ სატრიალო ჩინკვარდებში და თავიანთი დაბლებს მედიდურათ დაუწყვეს ცქერა, ხოლო მადლებს და მდიურებს კი ფეხქვეშ გაუკენ. გარდა ამისა იფაქლათ გაისადეს: ლოთობა-ქეიფი, კარტი, ნარდი და ცეკვა-თამაში, და სხვა ათასგვარი ღასლანდარობა-უკუღმართობა. დადიან სოფლიდან-სოფლათ, რომ საჭეიფო რამებს წაატყდენ და რინილუი ვაკვაცობა გამოიჩინონ. რამდენი იმის მაგალითი, რომ «ქვეყნის ფუტკარმა», ბიბლიოთეკისთვის სი-

მწით ნაშოვარი ფულები შეუქამა და როცა მოთხოვეს, — ეგადა ღანძღვა-კინებით გაისტუმრა! ვინ მოთვლის აგრეთვე იმას, თუ მასწავლებლებმა რამდენს ფულები დატყუეს და ვიღაც-ვიღაცებს შეაქამა. ურცხვია ისეთი მაგალითებიც, რომ ჩვენი შედეგები მოწაფეებს მდიურ შეუბრძლებლათ ეჭვიან: ცემა-ტყემა და მისთანა სასჯელი სომ ჩვეულებრივია, მაგრამ ამ უბედურებს შემდეგი უბედურებაც მიჰატა: მასწავლებლები გაცილებით ბევრს ამუშავენ შეგირდებს ბაღებში და თხრლებში, ვიდრე ამას მთავრობის ვალდებულება მოითხოვს. ამ გვართვე გაცილებით ბევრს ათამაშებენ უმწიფლებს „უჩინა“-ს, რომელიც სმირათ მუქთა-სორო და უსაქმო ქალების სათრითაც ხდება: წარმოიდგინეთ, სოფლის მასწავლებელთა უმკაცრობა ცრუმორწმუნეობაშიც არ ჩამოჩნება ხალხს.

ასეთი და ბევრი დაუსახლებელი ფეხტების შემდეგ ხალხმა შეიძლება მასწავლებელი და ბევრგან მის წინააღმდეგ წავიდა. ასეთ მწვავე განხეთქილებას ჩვენ ჯერ-ჯერობით უფრო რელიეფურათ გურიაში ვხედავთ და მოსალოდნელია, რომ კვლავ განმეორდეს სხვა კუთხეებშიც, თუ გაჩემება არ შეიცვალა.

ერთი სიტყვით, თუ მასწავლებლები ხალხმა აბუნათ აიგდოს და ნდობის და პატივისცემის ნაცვლათ მტრულათ და სიწლით უფურცენ მათ, ეს უწინარეს უოკლისა თვით მასწავლებლების ბრალია, რადგანაც იმათ თანამედროვე ცხოვრებას ალლო ვერ აჩრთვს. იმათთვის საჭიროა შეგნებელი და პატიოსანი გამოვიდნ სასალო განათლების ასპარეზზე და გონების განვითარებას და ზნეობის გაფაქიებას დიდი ადვილი დაუთმონ, დაუგვირდენ გამტკიანთ თვალთ ცხოვრების მოკლენათა აგან-ჩავანს, ამოუდგენ ხალხს გვერდში და გაუწიონ მათ ნამდვილი მეგობრობა, და მოლოთ მამინ ამაღლებიან ისინი ხალხის თვალში, მოლოთ მამინ მოიპოვებენ მის პატივცემას და თანაგრძობას. დასასრულ უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ ურწხლ-კაცუბებში სოფლის მასწავლებელთა დაჭედიობას განსაკუთრებით იმათ ნივთიერ მდგომარეობას აწერენ და სრულებით არ ესებან იმათ ზნეობრივ და გონებრივ ავლადიდებას. ეს კი დიდ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს. მასწავლებელთ შიათ, ცვათ და მოლოთ და მოლოთ მათი ნივთიერი მდგომარეობა სასრუნავ-საგონებელია და სს. სოლო კრანტიც არ დაუძრავთ იმაზე, თუ ამას გარდა კიდევ სხვაც არის საჭირო \*).

40-ე.

წერილები რედქციის მიმართ.

ქ-ნო რედქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ ქვემოთ მოყვანილ ანკარიში დაუთმით ადვილი თქვენი კაცუთის მასწავლებელ ნომერში. ან გარეში საჭველ მოქმედო სეირობისა, რომელიც გამართა 26 აგვისტოს კავკასის ბაღში კავკასის ქართული სკოლის სასარგებლოთ. შემოსავალი ა) ბილეთების

\* ეჭვი არ არის, რომ სოფლის მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა მეტათ ჩამოქვეითებულია, როგორც გონებრივათ, ისე ზნეობრივათ, რომ მასწავლებლები ღირსეულათ ვერ ემსახურებიან თავის მაღალ დანიშნულებას; მაგრამ მეორე მხრით არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ სოფლის მასწავლებელთ ერთობ ცუდ და მეტათ ხელის შემშლელ პირობებში უნდებათ მოქმედება, რომ სოფლის ბოლოებს შორის ისინი დაბალ ლობეთ ხდებიან, და აი სწორეთ იმათი ნივთიერათ შევიწროებული მდგომარეობა ხდება ამის მიზეზი. ერთი სიტყვით, ამ წერილის ავტორი ბევრში მართალია, მაგრამ მისი მსჯელობა გადაჭარბებულია. ამ საგნის შესახებ ჩვენ კიდევ დავუჭვავთ სხვა ავტორების წერილებს.



გაუადვით 539 მან. 5 კაზ. ბ) ბუფეტადან 336 მან. 98 კ. გ) ბახარისაგან 329 მ. 95 კ. დ) შემოწირულება 867 მ. 40 კ., სულ 2073 მ. 38 კ. გასაკვადი (ხადის მოწყობა, განათება, გასართობები და სხვა) 401 მ. 93 კ. წმინდა შემოსავალი დაწესდა 1671 მ. 45 კ., რომელიც მიემართა სკოლის თანხას. უკვლას, ვინც სკოლის გამართვაში მონაწილეობა მიიღო, პირადი შრომით, თუ შემოწირულებით—უუცხადებ ჩემდამი წმინდების კავკასის ქართული სკოლის მაგისტრ უგულოთადას მადლობას.

სკოლის გამგე სამხარუნველო კომიტეტის თავმჯდომარე პართენ გოთუა.

**ქართული თეატრი.**

წარსულ კვირას, 7 ოქტომბერს ქართულ თეატრში ითამაშეს ქ-ნ ნ. აზაიანის ახალი პიესა „გაცრუებული იმედები“, კომ. ორ მოქმედებათ და ორ მოქმედებათი ფარსი ა. ცაგარლისა „შვენიერი ელენე“. საზოგადოება დიდი ინტერესით მოელოდა ქ-ნ აზაიანის ახალი პიესის მოსმენას, რადგანაც მან ორი თავისი კომედით მოიპოვა უკვე ნიჭიერი მწერალის სახელი. ქ-ნ აზაიანის ახალი პიესის დედა აზრი ასეთია: ძველი მოდების მშობლები, რომლებიც ცხოვრებაში გარდა სიმდიდრისა და ფულებისა ვერაფერს ვერ ხედევენ, მოელიან უნივერსიტეტში სწავლა-დამთავრებულ შვილს, ახალგაზრდა ექიმს, და ამასთანავე მეტის-მეტათ გახარებულები ოცნებობენ, თუ ნასწავლი შვილი რა ბედნიერებას, ე. ი. სიმდიდრეს, მიანიჭებს მათ. მაგ., მამა, სტეფან ივანიჩ ზარალოვი (ბ. აბაშიძე) ოცნებობს იმაზე, რომ მისი შვილი ვანო (ბ. სვიმონიძე) ერთი ორათ და ერთი სამათ დაუბრუნებს მას სწავლის დროს დახარჯულ ფულებს, შეტოპავს მდიდართა საზოგადოებაში და ვახდება მდიდარი და ცნობილი კაცი. ნინო ზარალოვისა (ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა) თავის მხრით კი ფიქრობს იმაზე, რომ მისი ახალგაზრდა ვაჟი მდიდარ ქალს შეირთავს, თავის საკუთარ კარეტას გაიჩენს და თავის დედას იმაში ასეირნებს. ასევე ოცნებობს თავის შვილის გამო ამათი ნაცნობი კეკელაც (ქ-ნი ჩერქეზიშვილისა). მაყურებელი ხედავს რა ასეთ გარემოებას, უკვე გრძნობს, რაც უნდა მოხდეს. მართლაც ახალგაზრდა ექიმი მოდის თავის მშობლებთან სულ სხვა აზრებით: იგი სრულებით არ ფიქრობს არც ფულების შეძენაზე, არც კარეტაზე და არც მდიდარი ქალის შერაჯაზე; იგი უფასოთ წამლობს ღარიბებს, დადის ფეხით ავთმყოფებთან, აგროვებს ფულებს ღარიბ სტუდენტების სასარგებლოთ და სხვ. და დასასრულ რუსის ნანწავლ ღარიბ ქალს ერთავს ცოლათ, ე. ი. იგი სრულიად აცრუებს მშობლების იმედებს. ანაირათ ქ-ნ აზაიანის ახალი პიესის შინაარსი აღებულება თანამედროვე ცხოვრებიდან, რომლის სინამდვილით და მხატვრულით გადმოცემაში ასე დახელოვნებული ახალგაზრდა ავტორი. ეს პიესა ცხოვრების სარკეა: თქვენ გგონიათ, რომ თქვენ წინ არტისტები კი არ არიან, არამედ ნამდვილი პირნი, ისეთები, როგორც თვით ცხოვრებაში არიან. ჩვენ ამ პიესას ორი ნაკლებივანება შევამჩნიეთ: ერთი ისა, რომ ზოგიერთი სცენები ვაგრძელებულია და მეორეც ისა, რომ მოქმედნი პირები რუსულათ ბევრს ლაპარაკობენ. თამაშობდენ არტისტები საუცხოვოთ, მეტად-

რე ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა და ჩერქეზიშვილისა და ბ-ნი აბაშიძე, არა უშავდა ბ. სვიმონიძესაც, ხოლო ქ-ნი ცანა აბაშიძე და ბ-ნი შათირიშვილი აქარბებდენ. ქ-ნ კარგარელი უნდა ვთქვათ, რომ არ იყო თავის ადგილას. რაც შეეხება „შვენიერ ელენეს“, ის ხომ არა ერთხელ უთამაშნიათ ჩვენ არტისტებს და ამ დღესაც საუცხოვოთ ითამაშეს საერთოთ.

ხუთშაბათს ბ-ნ ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილ იქმნა „ბედს ვერ წაუხვალ“. ჩვენ არ გამოუდგებით ამ პიესის დაფასებას, რადგანაც იგი არც აზრით და არც შინაარსით საინტერესო არ არის. ჩვენ გვაკვირვებს მხოლოთ ის გარემოება, თუ რას ხედავს ამ ყოველად უფერულ მელოდრამაში ჩვენი ნიჭიერი არტისტი, რომ ყოველ წელს უთუოთ იმაში უნდა გვეჩვენოს თავისი ნიჭის ძალა. ჩვენ ვუყურებდით ნიჭიერ არტისტის შესანიშნავ თამაშს და თანაც გვებრალებოდა იგი ასეთ სულელურ როლში. მაგრამ მოვასხენებთ არტისტს, რომ მანაც შეიბრალოს და იხსნას მაყურებელი საზოგადოება ასეთი უმსგავსი პიესების მოსმენიდან. ბ-ნ მესხიშვილს გარდა ვერც ერთი თავის როლს რიგინათ ვერ თამაშობდა. ჩვენ გავაკვირდა მეტადრე, თუ რათ გამოვიდა ქ-ნი ჩერქეზიშვილისა ასეთ შეუფერებელ როლში. ხალხი შედარებით მეტი დაესწრო.

რედაქტ.-გამომც. ან. თ. წერეთლისა.

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი.**

**თფილისის ქალაქის გამგეობა** ამით აცხადებს საყოველთაოთ, რომ თანახმათ კავკასიის სამოქალაქო უწყების მთავარმართებლის განკარგულებისა მომავალი არჩევნები თფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა მოხდება სამ საარჩევანო კრებაზე, რომელთაგან პირველ საარჩევანო კრებას შეადგენენ ამრჩევლები 1, 2, 3 და 4 პოლიციის უბნებისა; მეორეს—ამრჩევლები 5, 6 და 7 უბნებისა და მესამეს 8, 9 და 10 უბნებისა. ქალაქის გამგეობა შეუდგა რა საარჩევანო სიების შედგენას იწვევს უძრავ-ქონებათა პატრონთ განთავისუფლონ თავისი მამულები დარჩენილი გადასახადებისაგან, რომელიც ითვლება მათზე პირველ ივლისამდე 1901 წ. ამასთანავე ის პირნი, რომელთაც უძრავი ქონება ანუ სავაქრო-სამრეწველო დაწესებულება ქალაქის რამდენსამე უბანში აქვთ, კეთილ ინებონ ადრევე განუცხადონ ქალაქის გამგეობას, რომელ საარჩევანო კრებაზე სურთ მიიღონ მონაწილეობა ხმოსანთა არჩევნების დროს. (3—2)

**სკოლა და ჰანსიონი.**  
**ა. მამულაიშვილისა**

გადავიდა სლებცივის ქუჩაზე, № 13. ოლგას ეიწრო ქუჩის (Ольгинский переулок) მახლობლათ. ამხადებენ ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლებით. (4—3)

გამოვიდა და იყიდება **ლექსები და პოემები** ი. კვლოშვილისა, მეორე შევსებული გამოცემა ავტორის სურათით გ. წ—ს და აშხ. ფასი **ათი შაური**. ვინც ათ ცალზე მეტს გამოაიწერს, წიგნი დაეთობა 25% დავლებით. ადრესი: Редакция „Квали“, Г-ну Хоситову.